საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 20 სექტემბერი. 2021 წ. №177 (9296) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ვინ – ვის?!

კალაძე არის უპირობო ლიდერი და რატომ უნდა დატოვოს „ოცნება“ და გახარიასთან გადავიდეს ნომერ მეორე ფიგურად?!

4

„გახარია ნაციონალებსაც ემუქრებოდა და დაასრულა?“

ვინ მოკლა 22 წლის ნიკა კვარაცხელია?!

ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე ბრალდებულების, აკო ჭელიძის და გიორგი კავილაძის ადვოკატი დალი ბარბაქაძე აცხადებს, რომ კავილაძეს და ჭელიძეს ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს. მისი განცხადებით, ოჯახები გამოძიებასთან კავშირზე არიან, თუმცა აცხადებენ, რომ ძებნილების ადგილსამყოფელი არ იციან.

დალი ბარბაქაძის განცხადებით, მას აჩვენეს ვიდეო, რის საფუძველზეც ბრალის წაყენება მოხდა. როგორც ადვოკატი ამბობს, გამოძიებას აქვს ვიდეო, საიდანაც ჩანს კავილაძე და ჭელიძე ვერაზე როგორ არიან ჩასაფრებულები და უთვალთვალებენ მსხვერპლს.

„გამოძიებამ მაჩვენა სათვალთვალო კამერით გადაღებული სროლის კადრები. როგორც მითხრეს, მოხდა ამ პირის იდენტიფიცირება და ეს აკო ჭელიძეა. მეორე ბრალდებულს რაც შეეხება, მისი გადაადგილების ვიდეო არ უჩვენებიათ, თუმცა განმიმარტეს, რომ ანჯაფარიძის ქუჩის მიმდებარედ აკო ჭელიძესთან ერთად კავილაძეც იყო ჩასაფრებული და მსხვერპლს უთვალთვალებდა“, – განაცხადა ადოკატმა. ნიკა კვარაცხელია ვერაზე 15 სექტემბერს მოკლეს.

ოთარ ფარცხალაძე „მთავარი არხის“ წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს

ოთარ ფარცხალაძე „მთავარი არხის“ წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს. ოთარ ფარცხალაძის, ადვოკატის გაგი მოსიაშვილის განცხადებით, შაბათს „მთავარი არხის“ ეთერში სიუჟეტი გავიდა, სადაც ფარცხალაძეს ნიკა კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულ პირთა მფარველობაში ადანაშაულებენ.

მოსიაშვილის განცხადებით, „მთავარმა არხმა“ გადაუმოწმებლად დაუზუსტებელი და ცილისმწამებლური ინფორმაცია გაავრცელა. უფლებადამცველი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასაცმიმართავს.

„გუშინ დაახლოებით 21:00 საათისთვის გავიდა „მთავარ არხზე“ ეს სიუჟეტი. სიუჟეტი, რომელიც არის არა სიუჟეტი, არამედ უბრალოდ ჭორაობა, ჩემი შეფასებით. ჟურნალისტები არ უნდა ჭორაობდეთ, თქვენი მიზანი და თქვენი რეალური სახე გახლავთ ის, რომ მიაწოდოთ საზოგადოებას ინფორმაცია. აქ საზოგადოებას ინფორმაცია მათ არ მიაწოდეს, მათ უბრალოდ იჭორავეს ოთარ ფარცხალაძეზე. მიგვაჩნია, რომ უკვე დრო, წმინდა სამართლებრივი ბრძოლა, სამართლებრივი ხაზი გაყვეს ამ დაუსაბუთებელ ბრალდებებს. აუცილებლად მივმართავთ შესაბამის ორგანოებს სამართლებრივი ბრძოლისათვის, ვინაიდან ერთხელ და სამუდამოდ ოთარ ფარცხალაძის მიმართ უნდა დამთავრდეს არასწორი და მიკერძოებული ინფორმაციების გავრცელება. ძალიან ბევრი აბსურდული განცხადება და სიუჟეტი მიეძღვნა ოთარს, თუმცა ეს არის ის წითელი ხაზი, სადაც ადამიანს მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირთა მფარველობას, ერთის მხრივ ვაბრალებთ და მეორეს მხრივ ამის რაიმე კონტრარგუმენტი არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ აქვს. მზადდება ამ მიმართულებით გარკვეული სახის სამართლებრივი დოკუმენტები და უახლოეს დღეებში მივმართავთ შესაბამის ორგანოებს“, – განაცხადა მოსიაშვილმა.

3

ომარ მარგველაშვილი

სად არის ლოგიკა?!

ქონება თუ გაქვს, არავინ გჭირდება

6

როცა ვალებში ცხრაჩობი...

8

გიორგი ჩახუნაშვილი

ვაქცინაცია იმუნიტეტს არ ასუსტებს!

7

დასაშამათებლად განწირული

10

სამხედრო ავიაციის დღე საქართველოში



19 სექტემბერს საქართველოში სამხედრო ავიაციის დღე აღინიშნა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული სამხედრო ავიაციის ისტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან იწყება, როდესაც 1918 წლის 20 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, პირველი ქართული სამხედრო საავიაციო დანაყოფი შეიქმნა.

1921 წლის თებერვალში ქართველი სამხედრო მფრინავები საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ, რა დროსაც, თბილისთან, მოწინააღმდეგეზე რამდენიმე წარმატებული იერიში განახორციელეს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს, შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სამმართველო შეიქმნა, რომელიც, 1993 წელს მთავარ სამმართველოდ გადაკეთდა. 1995 წელს სამხედრო-საჰაერო ძალებს გვარდიის სამმართველოს შვეულმფრენთა საავიაციო პოლკი შეუერთდა. 1998 წელს სამხედრო-საჰაერო ძალები და საჰაერო თავდაცვის ჯარები გაერთიანდა და მათ სამხედრო-საჰაერო ძალები ეწოდა. 2010 წლის გაზაფხულზე სამხედრო-საჰაერო ძალები, საავიაციო ბრიგადის სახით სახმელეთო ჯარების დაქვემდებარებაში გადავიდა.

დღეისთვის, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაქვემდებარებაშია.

1992 წელს აღიჭურვა ქართული საავიაციო ქვედანაყოფი ორი ერთეული სუ-25-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავით, რითაც პოლკოვნიკებმა იზანი ცერცვაძემ და ვალერი ნაყოფიამ პირველი ფრენა განახორციელეს. 1992-1993 წლებში საქართველოს სამხედრო ავიაცია აქტიურად ჩაერთო აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში, რა დროსაც, ქართულმა სუ-25-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა 217, ხოლო შვეულმფრენებმა 360 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს.

ქართული სამხედრო ავიაცია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში აქტიურად მონაწილეობდა, სადაც ქართულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა მოწინააღმდეგის ქვეით და ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებზე არაერთი წარმატებული იერიში მიიტანეს.

ისევ იქმნება „ქართული“ მოიერიშეები

„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა ვთქვა — ჩემთვის დიდი პატივი იყო, ვყოფილიყავი თავდაცვის მინისტრი ჩვენი ქვეყნის და ჩვენს ღირსეულ ჯარს ვემსახურე. მჯერა, რომ ამ ერთ წელიწადში ძალიან ბევრი საქმე გავაკეთეთ. ის საქმეები, რომელიც ბოლო 30 წელია არ გაკეთებულა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას,“ — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, როდესაც ის თავდაცვის სამინისტროში მივიდა, მხოლოდ ერთი ვერტმფრენი დაფრინავდა, დღეის მონაცემებით კი აღდგენილია 4 სუ-25, 2 წლის ბოლომდე აღდგება, ასევე, მიმდინარეობს 5 მი-24-ის სრული განახლება.

„კომპლექსურად მივუდექით — ბაზების მოწყობა, ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, შეიარაღება, ყველაფერი თანამედროვეა. მათ შორის ადგილობრივი წარმოების განვითარება. ძალიან მალე დავიწყებთ ადგილობრივი წარმოების ავტომატების გამოშვებას. მიდის მუშობა მაღალი გამავლობის ჯავშანმანქანების პროექტზე. როდესაც მინისტრად მამტკიცებდნენ, პარლამენტში გამოსვლის დღეს ვთქვი, რომ სუ-25-ების გამოშვებით საქართველომ თავის დროზე სახელი გაითქვა და 1000 სუ-25 გამოუშვა ქვეყანამ. ნუთუ რა გახდა ასეთი, რომ ამის განახლება ჩვენი ძალებით არ შეგვეძლოს. ახალი ანგარი გავაკეთეთ და დავიწყეთ ეს პროექტი. მაშინ ბევრი დაგვცინოდა და ქილიკობდა, რომ მორიგი ყალბი დაპირებაა, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ჩვენი ძალებით გავაკეთეთ — 4 სუ-25 აღვადგინეთ, 2 კიდევ წლის ბოლომდე აღდგება, მიმდინარეობს 5 მი-24-ის სრული განახლება, ჩვენი ძალებით, ჩვენსავე ტერიტორიაზე, ჩვენი ავიაციის ხალხის ჩართულობით. ამას გარდა, 4 ამერიკული ვერტმფრენი გავგზავნეთ უკვე ამერიკაში, მიმდინარეობს სრული განახლება და ბიუჯეტიდან გამომდინარე ვფიქრობთ, ახალი საფრენი აპარატების დამატებას.

ჯარში გავაკეთე პირველი ექსპერიმენტი ამ მიმართულებით, როდესაც თავდაცვის ძალებთან ერთად ჩვენ შევიმუშავეთ განვითარების გრძელვადიანი, 10-წლიანი ხედვა. ჩემი მოტივაცია რა იყო — მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვლება თუ არა, ის გეგმა და ხედვა, რომელზეც ვთანხმდებით, უნდა გაგრძელდეს. არ შეიძლება ამა თუ იმ პოლიტიკური ხელმძღვანელის ახირების და გემოვნების მიხედვით განვითარდეს ქართული ჯარი. თავდაცვის მიერ არის დამტკიცებული, მოწონებული და მათ მიერ არის შემუშავებული ეს განვითარების გეგმა და იქ გაწერილია, რომელ წელს რას ვაკეთებთ“, — განაცადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იოანე გამრეკელი „ნაცმოძრაობაზე“: არა მარტო უთვალთვალებდნენ, არამედ ასაჯაროებდნენ კიდეც პირადი ცხოვრების კადრებს!



სასულიერო პირებზე თავდასხმები წლებია მიმდინარეობს. ეს კომუნისტების დროსაც იყო, მერეც იყო და ახლაც არის, — ამის შესახებ ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა განაცხადა.

„ალბათ თავდასხმები სასულიერო პირებზე კიდევ იქნება, რადგან ქრისტიანობის ისტორია თავად არის ცილისწამება ქრისტიანებზე და მოძღვრებზე, მაგრამ კონკრეტულად რას აბრალებენ, ამის დოკუმენტი კი არაა წარმოდგენილი, ამაზე ლაპარაკია. ეს კი ჭორის დონეზე და ფეიკების დონეზე არასერიოზულია. ესაა წინასაარჩევნო კამპანია, რომ თავი წარმოაჩინონ ფხიზელ ადამიანებად, რომელთაც ყველაფერი იციან და ისინი არიან მართლები და ყველა დანარჩენი, ხელისუფლება იქნება თუ ეკლესია, ცდება. ესაა მცდელობა ხელისუფლებისა და ეკლესიის დაპირისპირების“, — განაცხადა მიტროპოლიტმა.

იოანე გამრეკელი მიიჩნევს, რომ ეს ტალღა ცოტა ხანში ჩაივლის და არაა ყურადსაღები: **„ალბათ მორიგ თემას გამონახავენ, რომ კიდევ შეუტიონ. ესაა წინასაარჩევნო კამპანია, რომ ქულები დააგროვონ ხალხში. სჯობს გაიხსენონ ხელისუფლებაში ყოფნისას ისინი რას აკეთებდნენ. არა მარტო უთვალთვალებდნენ, არამედ ასაჯაროებდნენ პირადი ცხოვრების კადრებს. ეს იყო დანაშაული და დასჯადი, მაგრამ არავის არ დაუსჯია ისინი სამწუხაროდ. ახლა თვითონ ითხოვენ იმის დასჯას, რაც არაა განცხადებული“,** — აღნიშნა იოანე გამრეკელმა.

ირაკლი კობახიძე გავრცელებულ ჩანაწერებზე: ველოდები ერთი საინტერესო ინფორმაციის „გამოგდებას“ მაინც...

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე მედიაში გავრცელებული ჩანაწერების შესახებ დასმულ კითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ელოდება, როდის „გამოაგდებენ“ გახარია და ცალკეული მედიასაშუალებების წარმომადგენლები ერთ საინტერესო ინფორმაციას მაინც.

„ველოდები, როდის მოახერხებენ გვარამია, მელაძე, ხოჯევანიშვილი და გახარია ერთი საინტერესო ინფორმაციის „გამოგდებას“ მაინც. დაველოდოთ, იქნებ, „გამოაგდონ“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ხომ არ გგონიათ, რომ რეზინის შვილები მყავს?!

„ხომ არ მოგწონთ ეს, რაც გამოკრულია? ისე არ მომწონს მე და არ მომწონს ის კამპანია, რომელსაც თქვენი ტელევიზიების საშუალებით თქვენივე პარტია ახორციელებს“, — ასე უპასუხა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ბანერებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

მისივე თქმით, მერიას არანაირი უფლება არ აქვს, ბანერი ჩამოხსნას, რადგან ყველას აქვს გამოხატვის უფლება, კანონის ფარგლებში.

„შეგიძლიათ, ჩართოთ ტელევიზორი და ნახავთ, საარჩევნო კლიპებს, რომლებიც არის შეურაცხყოფა, ცილისწამება, ბოროტება, სიძულვილის ენა, ეს ხართ თქვენ. მაშინ რატომ არ იღებთ ენას?! რატომ არ საუბრობთ ამაზე?! სასიამოვნოა?! „ქართული ოცნება“ და კახა კალაძე არაფერს აკეთებს. „ქართული ოცნება“ დგას მოწოდების სიმაღლეზე, ვერ ნახავთ ჩემ განცხადებას, ოპონენტის, ან ვინმეს წინააღმდეგ სიძულვილის ენა გამომეყენებინოს, საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებით. თქვენ ერთხელ არ გამოსულხართ, ჩემი ოჯახის წინააღმდეგ მიდის ეს ცილისწამების ვიდეო, ჩემი შვილები რა, რეზინის შვილები მყავს გგონიათ?! ეს არის რეალობა!“ — აღნიშნავს კახა კალაძე.

გავრცელდა ბანერები, რომლებზეც ოპოზიციის რამდენიმე ლიდერია გამოსახული წარწერით „არა ნაცებს! არა ბოროტებას! არა ღალატს!“.

ზურაბ ჯაფარიძის ბარი დალუქეს

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა „გირჩი მეტი თავისუფლების“ ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის მიერ გახსნილი ბარი დალუქეს. **ადგილზე შრომის ინსპექციის და საპატრულო პოლიციის წარმომადგენელები იმყოფებოდნენ.**

მათი თქმით, ბარი მთავრობის განკარგულების დარღვევის გამო დააჯარიმეს, რომლის მიხედვითაც, კვების ობიექტების მუშაობა 22:00 საათამდეა დასაშვები. როგორც შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა მაია მიქაიამ ჟურნალისტებთან განაცხადა, დაწესებულება ერთხელ უკვე დაჯარიმდა მთავრობის განკარგულების დარღვევისთვის, განმეორებით დარღვევის გამო კი დაილუქა.

ვინ უშლის ხელს ანაკლიის პორტის აშენებას?!

მამუკა ხაზარაძე და **გიორგი გახარია საკაშვილის მიერ არიან მართულები, ხაზარაძემ ანაკლია ვერ ააშენა და ახლა მილიარდ 500 მილიონს ედავება სახელმწიფოს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, პარლამენტში მყოფი პარტიები, რომლებიც საკაშვილთან არ არიან ალიანსში, კონსტრუქციული პარტიები არიან.

დღეს პარლამენტში არიან ჯანსაღი პარტიები, იგივე „ევროპელი სოციალისტები“ ალეკო ელისაშვილის პარტია, კონსტრუქციულად გამოიყურება ვაშაძეების პარტია.. მოკლედ, საკაშვილის გარდა და სამწუხაროდ უნდა ვახსენო, რომ გახარიაც მისი ნაწილი გახდა უკვე, გუშინ ვთქვი და გავიმეორებ, რა უნდა გააკეთო, როგორ უნდა მოახერხო კაცმა, რომ იყო პრემიერ-მინისტრი, პარტიის დამფუძნებლის ამხელა ნდობით სარგებლობდე და გახდე საკაშვილის მიერ მართული და მისი ამ ვალდებულებების და კომპრომატების გამო მართული თუ მარიონეტი. აღარ მინდა ამაზე საუბარი.

„ლელოც“ რა თქმა უნდა, საკაშვილის ნაწილია, ხაზარაძეზე ორი სიტყვით მინდა ვუთხრა მოსახლეობას, თავიდან ბოლომდე საკაშვილის მართული პროექტია. ხაზარაძე, რომელიც დღეს იმის გამო, რომ ვერ ააშენა ანაკლია, მილიარდ 500 მილიონს ედავება სახელმწიფოს. წარმოიდგინეთ, 3 მილიონი აქვს დახარჯული მას პირადად და მოსახლეობამ რომ იცოდეს.. ვინ უშლიდა აშენებას, 4 წელი ელოდა მთავრობა, სად იყო, რატომ არ ააშენა, დღეს სახელმწიფოს ედავება მილიარდ 500 მილიონს. მტერი უნდა იყოს კაცი, როცა მთავრობას ამხელა თანხაზე ედავება, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გონს უნდა მოვეგოთ!..

საგანგაშოა ისიც, რომ 5-დღიან ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ ქართველთმოძულე სააკაშვილმა ჯერ იზეიმა და შემდეგ ძირითადი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გადასცა, თუმცა, ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორებს“ ხმა არ ამოუღიათ, ეს მაშინ, როცა ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთთან პირისპირ დიალოგს, ურთიერთობების გარკვევას და მოგვარებას უპრძალავენ.

არ იქნება ახალი თუ ვიტყვი, რომ ამერიკის და ევროპის მიზანია პატარა, მაგრამ გეოსტრატეგიულად მიმზიდველი საქართველო სულიერად და მნეობრივად დაიმორჩილონ და ქართველები თავიანთ ჭკუაზე ატარონ! აი, ასეთი „სტრატეგიული“ და „ერთგული“ პარტნიორები გვყავს აშშ-ის და ევროპის სახით.

ნუთუ ამაში ერთხელ და სამუდამოდ ვერ უნდა დარწმუნდეს ჩვენი უნიათო ხელისუფლება და გაიძვერა ოპოზიცია?!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გარეწარი ტელეარხები, ნაძირალა არასამთავრობოები და უტიფარი სახალხო დამცველი სოლიდურად ფინანსდებიან უცხოეთიდან სწორედ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ მიზნების გასატარებლად.

სად არის ლოგიკა?!

არც ნატო და არც ევროკავშირი რომ ბოლომდე არ გვიცავს, ამაში ჯერ კიდევ 2008 წელს დავრწმუნდით. ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრიყვულმა მოქმედებებმა რუსეთის აგრესია გამოიწვია, შედეგად დავკარგეთ საქართველოს მიწა-წყლის 20%, უგუნურ ქმედებებს მოჰყვა უამრავი მსხვერპლი და ნგრევა. იმ ტრაგიკულ დღეებში ძალიან გვჭირდებოდა მათი (ამერიკის და ევროპის) დახმარება, მაგრამ... მხოლოდ წყლითა და პამპერსებით „დაგვასაჩუქრეს“, რაც თითქმის არაფერში არ გამოგვადგა.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ მათ იმედად ყოფნა?!

საუკუნენახევრის წინ გერმანიის გამაერთიანებელი **„რკინის კანცლერი“** ოტო ფონ ბისმარკი აღნიშნავდა: „Война против россии самаубийство“, „Россия неразрушимое государство“, „Россиянам невозможно победить“!.. ეს შეგონება, რომ რუსეთი აგრესორი და დამპყრობია, არ უნდა სცოდნოდა მიწაზე მფორთხავ მაშინდელ ქვეყნის ქვეშაფსია მთავარსარდალს?! უწიგნურმა მიშამ ნაპოლეონისა და ჰიტლერის ბედიც არ გაითვალისწინა და არც უახლოესი ისტორია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე. თუმცა ამ შეურაცხადს და მის უგუნურ გარემოცვას რა ჭკუა მოეკითხებათ?!

* * *

ამერიკის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი ჩვენი უუნარო ხელისუფლების ჭკუის დამრიგებლად და დამტუქსველად გვექცა. ის არადიპლომატიური ქმედებებით ცდილობს, საქართველო და რუსეთი ერთმანეთს კიდევ უფრო დააშოროს და დააპირისპიროს – მასთან შეუთანხმებლად ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ, უტიფრად გვიკრძალავს რუსეთთან დიალოგს. არადა, დიალოგს ხომ ალტერნატივა არა აქვს, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ხომ ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს?!

რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე შეუძლებელია დაკარგული ტერიტორიების გონივრული ფორმით დაბრუნება. ჩრდილოელი მეზობელი არ აპირებს ჩვენთან ურთიერთობის გამწვავებას. ამის დასტურია ისიც, რომ ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია რუსეთში ხდება, ასევე რუსეთიდან შემოდის ასეული მილიონობით დოლარი ქართული ოჯახების შიმშილისგან გადასარჩენად, ეს თანხები, საბედნიეროდ, ყოველწლიურად იზრდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ რამდენჯერმე გამოითქვა დიალოგის სურვილი. რუსეთს სურს ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო კი აშშ-სა და ევროპის უხეში დიპლომატიური ზემოქმედების შიშით ყრუმუნჯივითაა დადუმებული!

საქართველოს და ქართველ ხალხს ამ მღვრიე სამყაროში გადარჩენა და მშვიდობიანი განვითარება თუ სურს, რუსეთთან ურთიერთობების დალაგების გარდა, სხვა გზა და მომავალი არა აქვს! უნდა შევიგნოთ, ვერც ნატო და ვერც ჩვენი დღევანდელ ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი ჩვენ ვერ გვიშველის – გონს უნდა მოვეგოთ...

საგანგაშოა ისიც, რომ 5-დღიან ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ ქართველთმოძულე სააკაშვილმა ჯერ იზეიმა და შემდეგ ძირითადი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გადასცა, თუმცა, ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორებს“ ხმა არ ამოუღიათ, ეს მაშინ, როცა ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთთან პირისპირ დიალოგს, ურთიერთობების გარკვევას და მოგვარებას უკრძალავენ.

სად არის ლოგიკა?!

უკრაინის თავმოყვარეობადაკარგულმა ხელისუფლებამ კი საქართველოს მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი თავზე დაისვა და ამ შლეგს მაღალი თანამდებობები უბოძა. ანგარიშსაც არ გვიწევენ, ჩვენ კი მათდამი მეგობრული და კეთილგანწყობილი ურთიერთობა გვაქვს.

სად არის ლოგიკა?!

კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოქმედი პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** აიძულეს, მიეტოვებინა დასკვნითი მნიშვნელოვანი ღონისძიება კიევში, ვინაიდან კლოუნმა ზელენსკიმ იქ ნარკომანი მიშაც მიიწვია.

საქართველოს და ქართველ ხალხს ამ მღვრიე სამყაროში გადარჩენა და მშვიდობიანი განვითარება თუ სურს, რუსეთთან ურთიერთობების დალაგების გარდა, სხვა გზა და მომავალი არა აქვს! უნდა შევიგნოთ, ვერც ნატო და ვერც ჩვენი დღევანდელ, ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი ჩვენ ვერ გვიშველის – გონს უნდა მოვეგოთ...

სად არის ლოგიკა?!

მეგის ქარდავაზე, რომელიც საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და ურიცხვ ჩათლახობას სჩადიოდა, მიშა ამბობს, რომ საერთოდ არ ვიცნობდიო.

სად არის ლოგიკა?!

სენატორები, კონგრესმენები, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ევროკომისიის წევრები, ევროპის პარლამენტარები ხომ ჩასაფრებულნი არიან, ჩვენმა ხელისუფლებამ იშვიათად, მაგრამ მაინც თუ გადადგა ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯი, აფთრებივით დაესევიან, დაგესლავენ, ათას უბედურებას დააბრალებენ. ამ დროს კი ოპოზიცია, „ნაციონალური“ ტელევიზიები, არასამთავრობოები აქტიურდებიან, ქოთქოთებენ და ათას სიბინძურეს ანთხევენ. არავითარი საქმიანი, ქვეყნის და ხალხის სასარგებლო წინადადება ან მოსაზრება მათი მხრიდან არ ისმის – მხოლოდ უსაგნო ყბედობა...

სად არის ლოგიკა?!

ოფიციალურად ცნობილია, რომ უცხოური კრედიტის მომსახურებისთვის ყოველწლიურად 700 მილიონ დოლარზე მეტს ვიხდით. ბოლოს 75 მილიონ ევროზე გონივრული უარის თქმა ხელისუფლების მიერ, ოპოზიციამ და ყველასთვის გასაკვირად ქვეყნის პრეზიდენტმაც არასწორ ნაბიჯად აღიქვა. ცნობილია ისიც, რომ ამერიკის ფული ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციას ხმარდება და არა ქვეყნის განვითარებას!

სად არის ლოგიკა?!

აშშ-ს და ევროპას ჩვენი ხელისუფლების დასჯა სურს და ამიტომ სააკაშვილის ჩამოსვლას ყველანაირად უწყობს ხელს.

სად არის ლოგიკა?!

ბოდიშს ვიხდი ლექსიკისთვის, მაგრამ ტელეუნიტაზები (განსაკუთრებით ამ ბოლო დროს) ავრცელებენ ბინძურ პროვოკაციებს სახელმწიფოს, ეკლესიისა და ქვეყნის სხვა ავტორიტეტული ინსტიტუტების წინააღმდეგ – მათი დისკრედიტაციის მიზნით. დორგლიანმა სააკაშვილმა პატარკაციშვილის „იმედი“, მართლაც იმედის მომცემი ტელევიზია, სასტიკად დაარბია, თანამშრომლებს ხელგორკილები დაადო, იატაკზე დაყარა და საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა. ყველას კარგად გვახსოვს დამცირებული და დაჩმორებული ინგა გრიგოლია და გიორგი თარგამაძე, რომლებიც ამჟამად აღტაცებულნი მიშას ძეგა-დიდებაში არიან – აი, დიდი ფული როგორ რყვნის ამ ნამუსგარეცხილებს. მთელი ამ საზიზღრობის ავტორი და შემოქმედი ხომ არაადამიანი სააკაშვილია.

– თუნდაც კიევში იმ ღამესვე რომ მოკლეს მოსამართლე, რომელმაც ნაძირალა მეგის ქარდავა გაასამართლა და საქართველოში ექსტრადიცია რომ მიუსაჯა. როგორ ფიქრობთ, ვისი ხელწერაა?

აი, ასეთი გარეწრები იყვნენ და, საუბედუროდ, დღესაც არიან მის გარემოცვაში. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ხელწერა მხოლოდ ჯალათი სააკაშვილისაა, მაგრამ აშშ, ევროპის დიპლომატები და პოლიტიკოსები ზურგს უმაგრებენ და ამიტომაც არაფრის არ ეშინია!

სად არის ლოგიკა?!

* * *

მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ გვერდს მაინც ვერ ავუვლი: სამარცხვინოა გონებაშეზღუდული თაკო ჩარკვიანის მოქმედება – უკადრებელსაც სიამოვნებით კადრულობს, თავს ჭრის მამამისს – ჯანსუღ ჩარკვიანს, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა არც ზვიადი და არც მიშა! მე ბევრჯერ მომისმენია მისგან ორივეს მიმართ გამოთქმული მწარე კრიტიკა და შეურაცხყოფაც კი. თუმცა, ედუარდ შევარდნაძეს აღმერთებდა – მისი წყალობით რამდენიმე მოწვევის პარლამენტარიც კი იყო. მეტიც, შევარდნაძემ ჯანსუღის ნათლული, ნინო ბურჯანაძეც კი შეიყვანა პარლამენტში. უმადურმა ანზოროვნამ კი რამდენად „ღირსეულად“ გადაუხადა ამაგი ჯანსუღსაც და მის სათაყვანებელ ედუარდსაც, ყველას კარგად გვახსოვს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში მთაწმინდის წმინდა მიწას ზოგიერთი პიროვნება დაუმსახურებლად მიაბარეს, ეს დამაფიქრებელი ფაქტია. ხელისუფლება უხეშად ერევა ამ უაღრესად ფაქიზ, ეროვნულ საკითხში. ეს დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს!

ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას კომპეტენტური, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი, კეთილგონიერი პროფესიონალებით დაკომპლექტებული ორგანო, საქართველოს პატრიარქის მოსაყდრის მონაწილეობით და მათ მივანდოთ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარება. საჭიროების შემთხვევაში პანთეონის „გასუფთავებაც“ უნდა მოხდეს, როგორც ეს მოხდა 1989 წელს.

დაბოლოს: კარს მოგვადგა მუნიციპალური არჩევნები. ქართველმა ხალხმა შვიდგზის უარი უთხრა ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ და ანტისახელმწიფოებრივ ძალებს. დიახ, ასეთი მტკიცე ვერდიქტი დაადასტურა უკანასკნელი 9 წლის მანძილზე ჩატარებულმა არჩევნებმა.

იმედი მაქვს ჩვენი მრავალტანჯული ხალხის გონიერებისა და სიბრძნის!...

ომარ მარგველაშვილი

ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲝᲡ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲘᲒᲣᲠᲐᲓ?!

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ �პᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ.

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲘᲦᲔᲑᲡ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲬᲐᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ, ᲜᲝᲛᲔᲠ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲘᲒᲣᲠᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐ.

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲫᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲫᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲠᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ“ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ.

მსგავს სცენარს განიხილავს ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** და ამბობს, რომ კახა კალაძემ ამ არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე **ირაკლი ღარიბაშვილი** ჩაანაცვლოს.

„ეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩაივლის და ახალი რეალობა გამოჩნდება. ამ ეტაპზე, არ მგონია რაღაც განხეთქილება იყოს და კალაძემ ეს გუნდი დატოვოს, თუმცა, არჩევნების შემდეგაც, ალბათობა იმისა, რომ კალაძე გამოეყოს „ქართულ ოცნებას“ და გახარიასთან გადავიდეს, მეეჭვება.

ვითარება სხვაგვარად ლაგდება: კალაძე, ფაქტობრივად, არის ერთადერთი უპირობო ლიდერი „ქართული ოცნების“ და ამ შემთხვევაში რატომ უნდა დატოვოს ეს პარტია და გახარიასთან გადავიდეს ნომერ მეორე ფიგურად? ალბათობა იმისა, რომ ის უფრო მაღალ თანამდებობაზე ვიხილოთ „ოცნებაში,“ უფრო დიდია“....

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ გიორგი გახარიამ თბილისის მერის არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის დაყენებით კახა კალაძის წინააღმდეგ, დიდი შეცდომა დაუშვა. როგორც საყვარელიძემ აღნიშნა, კალაძისთვის გახარიას პარტიაში გადასვლა პოლიტიკურად წამგებიანია. შესაბამისად, მან მმართველ გუნდში შესაძლოა, უფრო მაღალი თანამდებობა დაიკავოს, რადგან, მისი თქმით, კალაძე „ქართულ ოცნებაში“ უპირობო ლიდერია.

„გააჩნია, გახარიას შედეგი როგორი იქნება, თუ მისმა პარტიამ მნიშვნელოვანი შედეგები დადო, გასაკვირი არ იქნება, რომ ბევრმა მოისურვოს მასთან გადაბარგება, უშუალოდ კალაძე მოისურვებს თუ არა, არ ვიცი. თუ შედეგი არ იქნება, ასეთი მიგრაციის საფუძველიც არ არის. ჩვეულებრივ ემიგრაციაც ხდება იმ ქვეყნებისკენ, სადაც უკეთესია ცხოვრება. გახარიასთან პოლიტიკური ცხოვრება თუ უკეთესი იქნება, მიგრაცია მოსალოდნელია, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

აქ ერთი პრობლემაა, რადგან გახარია და კალაძე კონკურენტები არიან, გახარიას მაღალი შედეგი ნიშნავს, რომ კალაძე უნდა დაიჩაგროს, კალაძის მაღალი შედეგი ნიშნავს, რომ გახარია უნდა დაიჩაგროს. არ ვთვლიდი სწორად გახარიას კანდიდატურის დაყენებას და კალაძესთან დაპირისპირებას.

თუკი კალაძეს მყარი პოზიციები ექნება, ალბათ, ის „ოცნებაში“ უფრო მეტი პერსპექტივის პატრონი იქნება, ვიდრე გახარიას გუნდში გადასვლის შემთხვევაში. გახარიას გუნდში საპრემიერო პირი გახარია იქნება და „ოცნების“ გუნდში დროთა განმავლობაში საპრემიერო კანდიდატი შეიძლება გახდეს კალაძე. ასეთ გათვლებს, ალბათ, თვითონაც გააკეთებს“, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ᲜᲘᲙᲝ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ

ᲠᲝᲓᲘᲡ „ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ“?!

„ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ?“

ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ **გიორგი გახარია „ქართულ ოცნებას“ თავდასხმების შეწყვეტისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საპასუხო „ცეცხლის“ გახსნით ემუქრება. ყოფილი პრემიერი საპასუხო „ცეცხლში“ თუ მორიგი კომპრომატების გამოქვეყნებას გულისხმობს, მაშინ უნდა ახსოვდეს, რომ პოლიტიკაში შემობრუნებული ირწმუნებოდა, რომ ახალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას აპირებდა - არ იჭორავებდა და კომპრომატებით არ იბრძოლებდა. რაც შეეხება თავად მუქარას, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, გახარიას მუქარა უკვე ნანახი გვაქვს, როცა ნაციონალებს დამთავრებით ემუქრებოდა, თუმცა „საბოლოოდ თავად დასრულდა“. ამიტომ ანალიტიკოსებს უჭირთ პროგნოზირება, „ცეცხლის გახსნაში“ რას შეიძლება გახარია გულისხმობდეს.**

თავად პარტია „საქართველოსთვის“, სავარაუდოდ, სუს-იდან გაჟონილ ჩანაწერებზე პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებაში სახალხო დამცველის და საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას, პარლამენტში კი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს. ჩანაწერების ავთენტურობა, მისი გავრცელების შემდეგ, არაერთმა ჟურნალისტმა, პოლიტიკოსმა და სასულიერო პირმა დაადასტურა, ვინც მასში მონაწილეობს. მომხდართან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ არასამთავრობო სექტორშიც. ეკლესიას კი ჯერჯერობით სერიოზული კომენტარი არ გაუკეთებია.

შეგახსენებთ, რომ 12 სექტემბერს, გვიან ღამით, მედიასაშუალებებმა დაუცველი ვებსაიტის ბმული მიიღეს, რომელზეც ათასობით დოკუმენტი იყო განთავსებული – ტექსტური ფაილები, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ფოტომასალა. ამ ათასობით დოკუმენტს ის აერთიანებს, რომ ჩანაწერები სასულიერო პირებს ეხება – ესაა სატელეფონო საუბრების შინაარსები, მიმოწერები სოციალურ ქსელებში, შეხვედრები, პოლიტიკური განწყობები – ამ ყველაფერს, სავარაუდოდ, სუს-ი წლების განმავლობაში აგროვებდა და აარქივებდა.

ყოფილი პრემიერი „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან მისი გუნდის წევრების მიმართ გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას ამბობს, რომ „არავის ეშინია, აი, ამ რაღაც მუქარების და ფეხების ბაკუნის“. მისი თქმით, ნაცვლად მინიშნებებისა, უმჯობესია, დროზე დაიწყონ გამოძიება...

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან აცხადებს, რომ გიორგი გახარიას მუქარის და დაპირების, ალბათ, ნაკლებად უნდა გვჯეროდეს, რადგან მან მსგავსი განცხადება „ნაციონალების“ მისამართითაც გააკეთა, როდესაც უთხრა, რომ მათ დაასრულებდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამიტომ „ოცნებას“ „ცეცხლის გახსნით“ თუ ემუქრება, ამის, მინიმუმ, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ანალიტიკოსი ამბობს, რომ გახარიას იარაღი ახლა ამომრჩეველია, რომელმაც ხელისუფლებას „ცეცხლი უნდა გაუხსნას“, სხვაგვარად გახარიას არანაირი შესაძლებლობა არ აქვს.

„გახარია, როცა ხელისუფლებიდან უკან პოლიტიკაში ოპოზიციონერ ლიდერად დაბრუნდა, განაცხადა, რომ კომპრომატებით და მსგავსი სიბინძურით არ იმოქმედებდა. მან თქვა, რომ ქართულ პოლიტიკაში ახალი კულტურის დამკვიდრება უნდა და არც ჭორაობას დაიწყებდა. ამიტომ თუ გახარია „ცეცხლის“ გახსნაში რაიმე კომპრომატების გამოტანას გულისხმობს, აბსურდი იქნება, რადგან ამით თვითდაზიანებებს მიიყენებს. ჯერ ერთი, რომ სახელმწიფოს მეთაური თავად იყო და პასუხისმგებლობა ყვლაფერზე მას ეკისრებოდა – იცოდა-არ იცოდა – ეს ვერ უშველის.

მეორე – გამოვა, რომ საკუთარი თამაშის წესებს უხვევს და ისევ ამ მოძველებულ პოლიტიკურ ავანტიურაში იქნება ჩართული. ეს კი მის ამომრჩეველს იმედს გაუცრუებს. ამიტომ არ მგონია, ამაში რაიმე კომპრომატების გამოტანას გულისხმობდეს. გახარიამ გვახსოვს იგივე მუქარა „ნაციონალებსაც“ შეუთვალა: „მე თქვენ დაგასრულებთ“, – დასრულდა ენმ? ამიტომ მე მის ადგილას სიტყვებს ცოტა უფორ მოვზომავდი. ახლა მისი იარაღი მხოლოდ ხალხი და ამომრჩეველია. ამიტომ ისინი უნდა დაარწმუნოს, რომ ამ ფარული ჩანაწერების გამოტანასთან არანაირი საერთოდ არ აქვს“, – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსი **ბესიკ ალადაშვილი** ამბობს, რომ სამწუხაროდ, მსოფლიო პრაქტიკაში კომპრომისებით ბრძოლა მიღებულია და ამით გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. ამიტომ მსგავსი ჩანაწერების გამომქვეყნებლის ვინაობის დადგენა რთულია. როდესაც ამხელა ინსტიტუტიდან ვიღაცას ეს ინფორმაცია გამოაქვს, მან ასევე კარგად იცის როგორ შეინიღბოს. ალადაშვილი ამბობს, რომ გიორგი გახარია და მისი გუნდი, რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილებს შორის არიან და ეს ლოგიკურიც არის, მაგრამ სხვადასხვა ვერსიებიც შეიძლება დაშვებული იყოს. მისი აზრით, არაა გამორიცხული ეს ჰაკერული თავდასხმაც იყოს სუს-ზე, საიდანაც ინფორმაციის მასობრივი მოპარვა მოხდა.

„მგონია, გამოძიებამ რამდენიმე მიმართულებით უნდა იმუშაოს. რა თქმა უნდა, გახარია და მისი გუნდი არიან ის ადამიანები, რომლებსაც მსგავსი ინფორმაციის გამოტანა შეეძლოთ, მაგრამ ასე ხელაღებით მტკიცებულებების გარეშე, რთულია დავაბრალოთ. საქმე ისაა, რომ სუს-ში ყველაფერი ასე მარტივად არ არის. როდესაც ხოჯევანიშვილი ამბობს, რომ ის ამ მიმართულებას არ კურირებდა, მართალია, რადგან ყველა დეპარტამენტს და განყოფილებას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს.

ხოჯევანიშვილთან მხოლოდ უკვე გაანალიზებული და ანალიტიკურად დამუშავებული ინფორმაცია მიდიოდა და ასე დეტალურად, დიალოგების დონეზე ინფორმაცია არ მიეწოდებოდა. ეს არის ერთობლიობაში სხვადასხვა ოპერმუშაკების ნამუშევარი მასალა. ესაა კრებული, რომელზეც ხელი მხოლოდ ერთ ადამიანს არ მიუწვდება. ამიტომ ვამბობ, რომ გამოძიებისას მხოლოდ პოლიტიკურ მოტივზე მუშაობა არ შეიძლება. აქ დაშვება უნდა იყოს, რომ შესაძლოა, ეს ჰაკერული თავდასხმა იყო, საიდანაც ინფორმაციის მასობრივი მოპარავა მოხდა. ასევე, არ არის გამორიცხული, ეს იყოს რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ჩადენილი დანაშაული, რომლითაც საქართველოში წინასაარჩევნოდ დესტაბილიზაციის გამოწვევა სურთ“, – ამბობს ალადაშვილი და არ გამორიცხავს, **წინასაარჩევნოდ ვიღაცა მთავარ კოზირს ინახავდეს, ხოლო ეს ინფორმაცია მხოლოდ საზოგადოების და პოლიტიკური წრეების დასატესტად შემოაგდო.**

ალადაშვილი ამბობს, რომ ჯოკერს ყოველთვის ბოლოსთვის ინახავენ, თუმცა დარწმუნებულია, რომ 2012 წლის ციხის წამების და კასრების მსგავსი კადრები მაინც ვერ იქნება. ანალიტიკოსი დასძენს, რომ „ქართულ ოცნებას“ რა გადაცდომებიც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი, მსგავსი სისასტიკე და არაადამიანური ქმედება მაინც არ ექნება გაკეთებული. ანალიტიკოსი ამიტომ ვარაუდობს, რომ თუ რამე აქვთ, წინასაარჩევნოდ გამოაქვეყნებენ, რასაც ექნება გარკვეული ეფექტი, მაგრამ არა ისეთი, რომ „ოცნების“ ხელისუფლება დასრულდეს და ქვეყანაში ამის გამო დაპირისპირება დაიწყოს.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ირაკლი ღარიბაშვილი:

ჩვენი აზერბაიჯანელი ძმები და აზერბაიჯანის სახელმწიფო ჩვენთვის მხოლოდ მეზობელი ქვეყანა არ არის - ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები, ვახორციელებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს

„სოკარის“ სამმილიონიანი სპორტული კომპლექსი მარნეულში

„სოკარს“ გამორჩეული სოციალური პასუხისმგებლობა აქვს. ის ახორციელებს ბევრ სოციალური მნიშვნელობის პროექტს ჩვენი მოსახლეობისთვის სხვადასხვა რეგიონში და დღევანდელი დღე არის სწორედ ამის დადასტურება“, – თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში ახალი სპორტკომპლექსის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა კომპანია „სოკარის“ ინვესტიციების მნიშვნელობას საქართველოსთვის და აღნიშნა, რომ კომპანიას ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული საქართველოში და ქვეყანაში მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა.

მარნეულის სოფელ ყიზილაჯლოში სპორტული კომპლექსი „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ ააშენა და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. კომპლექსი წარმოადგენს დახურულ მულტიფუნქციურ სპორტულ სივრცეს სხვადასხვა სახეობებისთვის, როგორიცაა კალათბურთი, მინი-ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი და ჭიდაობა.

სპორტულ კომპლექსში განთავსდება ტრიბუნები მაყურებელთათვის, გასახდელები, საშხაპე და სანიტარიული ფართები, ინვენტარის შესანახი საწყობი და ადმინისტრაციული სივრცე. შენობის ჯამური ფართობი 1157 კვადრატული მეტრია.

პროექტის ღირებულება 3 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. სპორტული კომპლექსის მიმდებარედ „სოკარმა“ სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა საფეხბურთო სტადიონს.

ბაგები-წყნეთის დამაკავშირებელი გზა მეწყერსაშიში აღარ არის...

თბილისის მერია წყნეთის გზატკეცილზე, სატყეო ტერიტორიის მიმდებარედ, დამეწყრილ უბანს საყრდენი კედლებით ამაგრებს. ადგილზე დედაქალაქის მერი კახა კალაძე მოადგილესთან – ირაკლი ბენდელიანთან ერთად იმყოფებოდა.

„როგორც იცით, ეს მეწყერსაშიში ფერდია. გასულ წელს იყო გარკვეული პრობლემები, ფერდის ნაწილი ჩამოიშალა და დავიწყეთ შესაბამისი სამუშაოები. 80 მეტრის სიგრძის კედელი შენდება. გარდა ამისა, 15 მეტრზე გაკეთებულია ხიმინჯოვანი ბურჯები, რომელთა ზემოთაც კედელი მოეწყობა და ეს პრობლემა სრულად მოგვარდება. საფრთხე, რომ ფერდი დაძრულიყო და პრობლემა შექმნოდა როგორც გზას, ისე მოსახლეობას, მოიხსნება. სამუშაო, რომელიც მუნიციპალიტეტს დაახლოებით, 1.5 მლნ ლარი უჯდება, ოქტომბრის ბოლოს დასრულდება“, – განაცხადა კახა კალაძემ. პროექტი ითვალისწინებს 80 მეტრი სიგანისა და 5,5 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედლის, ასევე, კიუვეტების მოწყობას.

დუშეთს განახლებული საბავშვო ბაღი ექნება



დუშეთში №3 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ეზოს კეთილმოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი.

მათ შორის ელექტროგაყვანილობის, იატაკის, სახურავის, კიბეების, შიდა სანტექნიკის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა, საბავშვო კონსტრუქციების მონტაჟი და სხვა, – ინფორმაციას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

200-ზე მეტი მომსახურების მიღება უკვე სიღნაღშიც არის შესაძლებელი

იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ სამინისტროს, საკანონმდებლო ორგანოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სიღნაღში საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. ახლადგახსნილ ოფისში, სხვადასხვა მომსახურების მიღება ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპით არის შესაძლებელი. საზოგადოებრივი ცენტრი მომხმარებელს მრავალფეროვან სერვისს, გამარტივებულ პროცედურებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასა და თანამედროვე ინფრასტრუქტურას სთავაზობს.

დღესვე, სიღნაღის საზოგადოებრივ ცენტრში პრობაციის ბიუროს რაიონული ოფისი გაიხსნა. პრობაციის ახალი ბიურო კახეთის რეგიონში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობებს კიდევ უფრო გააფართოებს. სიღნაღის შემდეგ, პრობაციის ბიუროები წელს ჩხოროწყუსა და კასპის მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივ ცენტრებშიც განთავსდება.

როცა სიცოცხლეს შეგაყვარებენ!..

„არცერთი უსახლკარო ოჯახი“!

დედაქალაქში ამოქმედდება სპეციალური პროგრამა – „არც ერთი უსახლკარო ოჯახი“, რომლის ფარგლებშიც ყველა ის ოჯახი, რომელსაც უსახლკაროს სტატუსი აქვს მინიჭებული, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ სოციალური პოლიტიკის პროგრამების პრეზენტაციისას განაცხადა.

როგორც მერობის კანდიდატმა განმარტა, საჭირო საცხოვრებელ ფართებს მუნიციპალიტეტი სპეციალური პროგრამის მეშვეობით შეიძენს და მათ 400-მდე უსახკლარო ოჯახს სარგებლობის უფლებით გადასცემს.

სუპერპროექტი – „60 +“ ხანდაზმულთა პატივსაცემად

კახა კალაძის ხელმეორედ არჩევის შემთხვევაში, განხორციელდება პროექტი „60+“, რომელიც ხანდაზმული მოქალაქეებისთვის სპეციალური სივრცეების შექმნას ითვალისწინებს.

თბილისის ყველა რაიონში მრავალპროფილური საუბნო ცენტრები შეიქმნება, სადაც 60 წელს მიღწეული თბილისელები კულტურული, გასართობი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა აქტივობების განხორციელებას შეძლებენ.

ხუთი ახალი პროგრამა

მომდევნო წლებში, თბილისის მერიის მიმდინარე პროგრამებთან ერთად, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, ხუთი ახალი პროგრამა იმოქმედებს, – ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილმა სოციალური პოლიტიკის ძირითადი პროგრამების პრეზენტაციაზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ახალ პროგრამებს შორის იქნება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება: ანგიოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია; ორგანიზებული სკრინინგი: კიბოს პრევენციის მიზნით, მიზნობრივ გამოკვლევებში მოსახლეობის დროული ჩართვა; ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება: ექოსკოპია, მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია, ლაბორატორიული კვლევები; სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება: მენჯ-ბარძაყი, მუხლი.

„ესენია ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც უშუალოდ ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე, ოჯახების სოციალურ მდგომარეობას ეხება. შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში, ხუთი სრულიად ახალი პროგრამა გვექნება. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მედიკამენტებთან ერთად, მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ასევე, შევქმენით სერიოზული, მაღალტექნოლოგიური ბაზა სკრინინგისთვის. დავიწყებთ იმ მოწყვლადი ჯგუფების მოძიებას, რომელთაც შესაძლოა, სკრინინგის ჩატარება სჭირდებოდეთ. ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკის კუთხით, დავაფინანსებთ ახალ კვლევებს და მედიკამენტებს, იმისთვის, რომ მოქალაქეთა გადარჩენისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა შევქმნათ. სახსრების ენდოპროთეზირების მიმართულებით, აქამდე, 60 წელს ზემოთ მოქალაქეების დაფინანსება იყო შესაძლებელი, თუმცა, ძალიან დიდი იყო მოთხოვნა 18-დან 60 წლამდე მოქალაქეების მხრიდან. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ ამ მიმართულებით, ასაკობრივი შეზღუდვა მოვხსნათ“, – განაცხადა ილია ელოშვილმა.

ამოქმედდება ასევე, შშმ პირთა პერსონალური ასისტირების პროგრამა, რომელიც მოიცავს პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსებას განათლების მიღებისას, სამუშაოს შესრულებისას, საჯარო სერვისებით სარგებლობისას და ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. პროგრამის მიზანი სპეციალური სტანდარტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა.

გარდა ამისა, გაფართოვდება მიმდინარე პროგრამები. კერძოდ, ონკომედიკამენტების პროგრამა: ონკოლოგიური დიაგნოზების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალის გაზრდა; არაჰოჯკინის ლიმფომის სამკურნალო მედიკამენტები; რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტები. გაფანტული სკლეროზის პროგრამა: სამკურნალო მედიკამენტებთან ერთად, მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიის დაფინანსება. დაავადებათა სკრინინგი: საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის კომპონენტი – HPV-ტესტირება.

ასევე, გაგრძელდება სოციალური და ჯანდაცვის ყველა არსებული პროგრამა, მათ შორის, მუნიციპალურ და რაიონულ დონეზე მიმდინარე პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა და სპორტულ სკოლებში სწავლის დაფინანსებას; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის პროგრამა; შინ მოვლის თანადაფინანსების პროგრამა; 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა; სოციალურად დაუცველი ოჯახების პირველ, მეორე, მესამე ახალშობილზე დახმარება.

ამასთან, კვლავ იმოქმედებს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, ასევე, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამები.

ქონება თუ გაქვს, არავინ გჭირდება

ძალის უფლებათა დამცველებისგან ხშირად გვსმენია: „ცოლი ქმრის საკუთრება არ არის“. ბავშვის უფლებათა დამცველები ამბობენ: „ბავშვი მშობლების საკუთრება არ არის“. და მიგვითითებენ, რომ ცნობიერების ამაღლებაა საჭირო. ზოგადად, ცოდნის ამაღლებაზე უარყოფითი აზრი არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ვეჭვობ, საკითხი სიღრმისეულად გაანალიზებული ჰქონდეთ. ჭეშმარიტების დაუდგენლად ცოდნა სიცრუის ცოდნაა, რაც ცოდნის ილუზიებს გვიქმნის. ცოდნა, რომელიც მოვლენის არსიდან არ გამომდინარეობს, არცოდნაა. როდესაც ადამიანი თავის ილუზიურ ცოდნას მეორე ადამიანს გადასცემს, ის ილუზიურ წარმოდგენებში გადაჰყავს და არა ჭეშმარიტების სამყაროში.

„ცოლი ქმრის საკუთრება არ არის“. ძალიან დამაჯერებლად ჟღერს. სიფისტიკურად მოაზრებული წანამძღვრების მეშვეობით, დასკვნის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად, ადამიანი ანკესზეა წამოგებული. თუ ცოლი ქმრის საკუთრება არ არის, რა უფლება აქვს, რაიმე ქმედება აუკრძალოს? ან პირიქით, ცოლს რა უფლება აქვს, ქმარს რამე დაუშალოს? ილუზიური ცოდნა ოჯახში ჩადებული ნაღმია, მისი სიყალბე რომ დავინახოთ, საჭიროა მოვლენის არსში გავერკვეთ.

საკუთრებაა ის, რაც ჩემია; ჩემი სახლი, ჩემი მანქანა, ჩემი აგარაკი, ჩემი იდეა, ჩემი ბაღი და ასე შემდეგ. ყველა ეს „ჩემი“ შემიძლია გავყიდო და გავაჩუქო, ასევე ჩემი გავხადო ყოველივე, რასაც ვიყიდი, ან მაჩუქებენ. „ჩემის“ ამ კუთვნილებათა ჩამონათვალში ცოლს, ქმარს, დედას, მამას, შვილს ვერ ჩავსვამთ; მათ ვერც ვიყიდით, ვერც გავყიდით და ვერც გავაჩუქებთ. მაშ რატომ ვამბობთ, ჩემი ცოლი, ჩემი დედა, ჩემი შვილი, ჩემი სამშობლო, ჩემი მეგობარი, ჩემი ძმა, ჩემი და? რა უფლება მაქვს, ცოლს მივუთითო, თუ ის ჩემი არ არის? იგივე შეიძლება ითქვას ქმრის მიმართაც. საკუთრებათა ამ ჩამონათვალში ყველა „ჩემი“ არ მიყიდია, არ არის ჩემი გონების წარმოსახვითი საგანი – იდეა, საჩუქრად არავის მოუცია. ქალმა, რომელმაც გამაჩინა დედაა, მაგრამ განზოგადებული დედა კი არა, ჩემი დედაა, ის ჩემია, თუმცა არ მიყიდია, არ შემიქმნია, არ უჩუქებიათ. დედა, როგორც ჩემი, არ ჯდება საკუთრებათა იმ ჩამონათვალში, რომელსაც ვქმნი, რომელსაც ვყიდულობ, ან მჩუქნიან. ცხადია, საკუთრების თვისობრივად განსხვავებულ კატეგორიასთან გვაქვს საქმე. საკუთრებაში, როგორც მოვლენაში, უნდა არსებობდეს არსისეული განმასხვავებელი საწყისი, რაც მოვლენას კატეგორიებად ყოფს. შეუძლებელია „ჩემი მანქანა“ და „ჩემი ცოლი“ საკუთრებათა ერთ კატეგორიაში მოვათავსოთ. ეს ფაქტი ილუზიური ცოდნისთვის საკმარისია, რომ დაასკვნას: „ცოლი ქმრის საკუთრება არ არის“. ილუზიურ ცოდნის გამავრცელებელმა იცის, რას აკეთებს; ცოლმა უნდა დაიჯეროს, რომ ქმრის საკუთრება არ არის, დანარჩენი თავისით მოხდება.

თუ საკუთრების ორი კატეგორია არსებობს, მოვლენაში უნდა მოიძებნოს ის, რაც მას ორ კატეგორიად ყოფს. საკუთრებათა რიგში, ჩემს სახლს, ჩემს იდეას, ჩემს მანქანას რა აერთიანებს? სახლი ვიყიდე, იდეა ჩემი გონებრივი წარმოსახვის ნაყოფია, მანქანა მაჩუქეს. სხვადასხვა გზით შეძენილებს საერთო ის აქვთ, რომ მათი გასხვისებაა შესაძლებელი; ყიდვა-გაყიდვა ჩემს ნება-სურვილზეა დამოკიდებული. საკუთრების ამ რიგს შეიძლება ვუწოდოთ ნებითი კატეგორია; სახლს მინდა გავყიდი, მინდა ვიყიდი, მინდა გავაჩუქებ, მინდა საჩუქრად ავიღებ, მინდა არ ავიღებ და ასე შემდეგ. საკუთრებისადმი ნებითი დამოკიდებულება საგანთა რიგს აქცევს ნებით კატეგორიაში. საკუთრების ნებით კატეგორიაში ყველაფერი მესაკუთრის ნებით მოძრაობს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, არის საკუთრებათა რიგი, რომელიც ნებით კატეგორიაში ვერ თავსდება; მათ ვერც იყიდი, ვერც გააჩუქებ და ვერც გაყიდი. ფაქტია, დედა ჩემია, ჩემი სამშობლო ჩემია, ჩემი ცოლი ჩემია, მაგრამ „ჩემია“ არ მაძლევს უფლებას, ეს რიგი ნებით კატეგორიაში მოვაქციო და მოვექცე, როგორც ნებითი კატეგორიის საკუთრებას. რასაც ვერ ვიყიდი და ვერ გავყიდი, საკუთარი ნივთივით ვერ მივდგამ და ვერ მოვდგამ, ჩემი საკუთრება როგორ არის? პასუხი ამ კითხვას უნდა გაეცეს.

ქალმა, რომელმაც გამაჩინა და გამზარდა, ჩემი დედაა. ელემენტარული ჭეშმარიტებაა. დედასთან ბუნებრივი კავშირი მაქვს. დაბადების დღიდან დედა ჩემ მიმართ მოსიყვარულე და მზრუნველია, რაც ემოციურად მიჯაჭვულს მხდის. დედის კეთილგანწყობის მჯერა, ვენდობი და რწმენამდე აყვანილი განწყობა მეუფლება. ქვეცნობიერში ასაკთან ერთად იზრდება გრძნობა, რომელიც ვალდებულების სახით ყალიბდება. ჩემი დედა, ჩემი მამა, ჩემი ერი ნებით განწყობას არ მიჩენს, გავყიდო, ან ვიყიდო. ბუნებრივი კავშირი ვალდებულებას აღძრავს და ნებითი ველის პარალელად ვალდებულებითი ველი ჩნდება. დედა ჩემი ვალდებულებითი კუთვნილებაა, რომელსაც ნებითი კუთვნილების მსგავსად ვერ მოვექცევი. დედა ჩემია იმიტომ, რომ ბუნებრივმა კავშირმა ვალდებულებით ველში მოაქცია. ცხადია, არსებობს ვალდებულებითი „ჩემია“ და რაც ჩემია ჩემი საკუთრებაა. დედა იმისი ვერ იქნება, ვინც არ გაუჩენია, მან მე გამაჩინა და ჩემია. ჩემი სული ჩემია, ჩემი ერი ჩემია, მათ ვერ ვიყიდი და ვერ გავყიდი. როდესაც ადამიანი სხეულს, სულს, ერს ყიდის, კუთვნილებიდან კი არ თავისუფლდება, ვალდებულებითი კატეგორიიდან თავისი თავი ნებით კატეგორიაში გადაჰყავს, სადაც ყველაფრის გაყიდვა შესაძლებელია. ადამიანი ამ დროს ვალდებულებიდან თავისუფლდება და არა საკუთრებიდან, რაც მის ქმედებას მოღალატეობრივს ხდის.

საკუთრების ვალდებულებითი კატეგორიის ბუნებრივ რიგში ცოლსა და ქმარს შორის აუცილებლობით განპირობებული ბუნებრივი კავშირი არ არსებობს. ცხადი ხდება, რომ საკუთრების ვალდებულებით კატეგორიას მეორე რიგიც გააჩნია. რა აერთიანებს ჩამონათვალს მეორე რიგში? ცოლსა და ქმარს, მეგობრებს, შეყვარებულებს, მეზობლებს აქვთ თუ არა ვალდებულების ბუნებრივი ფაქტორის მსგავსი აღმძვრელი, რომელიც განსხვავებულ რიგს ქმნის?

ცოლი და ქმარი იმიტომ იმყოფებიან საკუთრების ვალდებულებით კატეგორიაში, რომ ოჯახური კავშირი აერთიანებს, შეყვარებულებს – სასიყვარულო კავშირი, მეზობლებს – მეზობლური კავშირი და მეგობრებს – მეგობრული კავშირი. კავშირი აღიარებითია; ჯერ ვაღიარებ, შემდეგ ხდება ჩემი და შემდეგ ვივალდებულებ თავს. საკუთრების ვალდებულებათა კატეგორიის მეორე რიგში ვალდებულებითი სიმძაფრე ფარდობითია; მაგალითად, ვალდებულება ცოლის მიმართ უფრო მძაფრია, ვიდრე – მეზობლის მიმართ; ვალდებულება მეგობრის მიმართ უფრო მძაფრია, ვიდრე თანამშრომლის მიმართ. ვინაიდან კავშირი აღიარებითია, საკუთრების ვალდებულებითი კატეგორიის მეორე რიგს შეიძლება აღიარებითი რიგი ვუწოდოთ. მაშასადამე, საკუთრების ვალდებულებით კატეგორიაში გვაქვს ბუნებრივი რიგი; დედა, მამა, ძმა, ნათესავი, ერი და გვაქვს აღიარებითი რიგი; ცოლი, ქმარი, მეგობარი, მეზობელი, თანამშრომელი და ასე შემდეგ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს საკუთრების ორი კატეგორია:

1. ნებითი კატეგორია და

2. ვალდებულებითი კატეგორია, თავისი ბუნებრივი რიგითა და აღიარებითი რიგით.

მსჯელობიდან გამომდინარე, ცოლი ქმრის საკუთრებაა და ქმარი – ცოლის საკუთრება; ისინი იმყოფებიან საკუთრების ვალდებულებითი კატეგორიის აღიარებით რიგში. შვილი მშობლების საკუთრებაა და მშობლები – შვილისა; ისინი იმყოფებიან საკუთრების ვალდებულებითი კატეგორიის ბუნებრივ რიგში.

ილუზიური ცოდნა ცნობს საკუთრების მხოლოდ ნებით კატეგორიას; რაც იყიდება, მხოლოდ ის არის საკუთრება. დაუშვებელია, ადამიანი მოვაქციოთ ამ კატეგორიაში. მონათმფლობელურ სახელმწიფოში მონა ნებით კატეგორიაში ისეთ საკუთრებას წარმოადგენდა, რომლის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელი იყო. მიზნობრივად ცოლქმრულ ურთიერთობებში მონური ელემენტის შეტანა ამორალური და დანაშაულებრივია. როდესაც უფლებათა დამცველებს ადამიანები ილუზიურ ცოდნაში გადაჰყავთ ცოლი და ქმარი ერთმანეთის გრძნობებს, სურვილებს, მოთხოვნებს, აზრებს ძალადობად აღიქვამენ, ვალდებულებითი კუთვნილებადობა ქრება და ოჯახი ინგრევა.

ოჯახი ორგანიზაციაა. ორგანიზაციაში უამრავი გამოწვევაა, რომელთა გადალახვა ცოლ–ქმარს მხოლოდ ერთმანეთის მხარდაჭერით შეუძლიათ. ვალდებულებითი კუთვნილებადობის გაცნობიერება ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს ერთ მუშტად კრავს. შეგრძნება იმისა, რომ ერთმანეთისანი არიან, ყოველგვარ გასაჭირს გადაალახვინებს, ერთმანეთს არ უღალატებენ და ერთმანეთზე არ იძალადებენ. ვალდებულებითი საკუთრების შეგრძნება ურთიერთპატივისცემასა და გულშემატკივრობის სურვილს აღძრავს, მთლიანობის განცდას აჩენს, რაც ვიღაცის გეგმებში არ შედის.

იმ ოჯახში, სადაც ცოლსა და ქმარს შორის, შვილებსა და მშობლებს შორის, ვალდებულებითი კუთვნილებადობა გაცნობიერებული და გათავისებულია, არც ქმრის, არც ცოლის და არც შვილების უფლებები არ ირღვევა, ვალდებულებითი საკუთრება ოჯახის თითოეული წევრისთვის ძვირფასია და უფლებათა დამცველი, რომლის ინტერესი ფულია, ოჯახის წევრის უფლებებს ოჯახის წევრზე უკეთესად ვერ დაიცავს. ბავშვები სკოლებში ვალდებულებითი საკუთრების გათავისების სულისკვეთებით უნდა აღიზარდონ, რათა ადამიანებად დარჩნენ და მათგან გონიერი ცხოველები არ გამოძერწონ.

დაბოლოს: საკუთრების ვალდებულებითი კატეგორია საკუთრების ნებით კატეგორიასთან შედარებით, ადამიანისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებითი კატეგორიის საკუთრებიდან ყველაფერს გაყიდის, რათა საკუთრების ვალდებულებით კატეგორიაში მყოფ თავის ცოლ-შვილს დაეხმაროს. ვალდებულებითი საკუთრების შეგრძნება ადამიანურობის უმაღლეს საფეხურზე ასვლაა, რომელსაც, ნებითი კატეგორიის ყველა გაყიდვადი ღირებულება ერთად რომ დავახვავოთ და ზედ შევდგეთ, კოჭებამდეც ვერ შევწვდებით. ეს იციან და ამიტომ ცდილობენ ქალის გონებას გაყიდვად საკუთრებისკენ უბიძგონ. მათი აზრით, ქალი კაცისაგან დამოუკიდებელი რომ გახდეს, გაყიდვად საკუთრებას უნდა ფლობდეს. ქალის საკუთრების წინააღმდეგი არ უნდა ვიყოთ, მაგრამ გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რომ ნებით საკუთრებას მთავარ ღირებულებად მიიჩნევენ, რასაც საკუთრების ვალდებულებითი კატეგორიიდან ადამიანის ამოგდება და საზოგადოების გათითოკაცება შეუძლია.

ქონება თუ გაქვს, არავინ გჭირდება, აი მორალი.



ჯუმბერ სარდლიშვილი,
ტ. 599244024

კონკურსი „ქართული ა“ გამარჯვებული შრიფტების გაციფრულებას იწყებს

შრიფტების კონკურსი „ქართული ა“-ს ფარგლებში 9 ახალი ფონტი შეიქმნება. გამარჯვებული ფონტები უკვე გამოვლინდა და 15 სექტემბრიდან მათ გაციფრულებაზე დაიწყება მუშაობა. შერჩეულია ის 11 მონაწილე, რომლებმაც შრიფტების გაციფრულებაზე უნდა იმუშაონ, ისინი მოსამზადებელ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს „ჯეოლაბში“ გაივლიან, შემდეგ კი ერთი თვე ექნებათ შრიფტების ციფრული ვერსიის შესაქმნელად. მუშაობისთვის საჭირო ტექნიკურ უზრუნველყოფას „ჯეოლაბი“ სრულად განახორციელებს.



კონკურსი „ქართული ა“ დიზაინერ ზვიად ციკოლიასა და თიბისის ინიციატივით, თიბისის წარმატებული პროექტის #წერეექართულად ფარგლებში შეიქმნა. „ქართული ა“ მიზნად ისახავს ქართული დამწერლობის ადაპტირებას თანამედროვე სამყაროსთან, მის გავრცელებასა და პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. კონკურსი „ქართული ა“ ორი ეტაპისგან შედგება: ახალი ქართული შრიფტების მიღება, გამარჯვებულების გამოვლენა და შემდეგ მათი გაციფრულება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია, მასში გამარჯვებულებს სპეციალურად მოწვეული ჟიური გამოავლენს. კონკურსის პირობების თანახმად, თითოეულ კონკურსანტს ერთ კატეგორიაში მხოლოდ ერთი შრიფტის წარდგენის უფლება აქვს, თუმცა მას შეესაძლებლობა აქვს ნამუშევრები სხვადასხვა კატეგორიაში დაარეგისტრიროს. მონაწილემ შრიფტების სახით ქართული ანაბანის 33-ვე ასო უნდა წარმოადგინოს. პირველად კონკურსი 2017 წელს გაიმართა, ამ დროის განმავლობაში მიღებულია 350-მდე ნამუშევარი, შეიქმნა 30 ახალი შრიფტი, რომელთა ნაწილი უკვე გაციფრულდა, ნაწილზე მუშაობა კი სწორედ ახლა იწყება. უახლოს მომავალში კონკურსი უკვე მესამედ გამოცხადდება.

◎ თვითმარქვია გიდები

„ქართვლის დედას“ ტურისტებს თამარ მეფედ აცნობენ!

ტურისტული **კომპანიების წარმომადგენლები ითხოვენ, რომ საქართველოში სასწრაფოდ შემუშავდეს და ამოქმედდეს კანონი, რომელიც ტურისტულ სექტორში მომუშავე სპეციალისტების სერტიფიცირებას სავალდებულოს გახდის.**

საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული კომპანიის „ინვენიო თრეველის“ დამფუძნებელი და დირექტორი ნატალია კლიმიაშვილი „კომერსანტთან“ საუბრობს იმ მძიმე ვითარებაზე, რაც დღეს ტურისტულ ბიზნესშია და გარდა იმისა, რომ კომპანიების სტაბილურ საქმიანობას უქმნის საფრთხეს, ქვეყნის იმიჯზეც უარყოფითად აისახება.

„ტურისტულ ბაზარზე საქმიანობა უნდა იყოს ლიცენზირებული. წლებია, ამას ვითხოვთ. როდესაც ვსაუბრობთ, რომ ტურისტები უნდა მოვიზიდოთ და ამაში სახელმწიფო ფულს ხარჯავს, ცხადია, კანონმდებლობამაც უნდა შეუწყოს ხელი. პირველ რიგში, ლიცენზირება უნდა იყოს და არავინ დაუშვან, ვისაც ნებართვა არ ექნება. ბოლო დროს ბაზარზე გამოჩნდნენ შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ გიდის და ტუროპერატორების ფუნქციებს, დაბალი ხარისხის, ზოგჯერ სამარცხვინო მომსახურებას უწევენ ტურისტებს და საქართველოს ტურისტულ იმიჯს საფრთხეში აგდებენ. ფაქტობრივად აეროპორტშივე სთავაზობენ მეგზურობას უცხოელებს, 30-ლარიან მომსახურებას უწევენ, რომელიც არანაირ სტანდარტში არ ჯდება. ეს ხდება არაპროფესიონალების მიერ, რომლებსაც ქალაქის ღირსშესანიშნაობებზეც კი არ აქვთ ელემენტარული წარმოდგენა. სულ ცოტა ხნის წინ იყო შემთხვევა, როცა ქართვლის დედის მონუმენტი ტურისტს გააცნეს, როგორც თამარ მეფისა, ასეთი ფაქტები კი საკმაოდ ხშირია. ძირითადად დაბალბიუჯეტური ტურისტები მოდიან, ვინც იაფს სთავაზობს, მასთან გარბიან. მართალია, მერე ხვდებიან, რომ ცუდი სერვისი მიიღეს, მაგრამ უკვე გვიანია“, — ამბობს ნატალია კლიმიაშვილი.

ტურისტული კომპანიის დირექტორი საუბრობს ასევე მომსახურების გაძვირებაზე ტურისტულ რეგიონებში და დასძენს, რომ განსაკუთრებით ღვინის მარნების მომსახურების ხარჯია გაზრდილი.

„წელს მომსახურების ხარჯი არის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გაზრდილი. ეს ეხება თითქმის ყველა სეგმენტს, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ღვინის მარნებს, თუკი შარშან მათ მომსახურება 40-45 ლარს ვიხდიდით, წელს 70 ლარზე ნაკლები იშვიათადაა. მომსახურების ხარისხი კი აშკარად გაუარესებულია. იყო შემთხვევა, რომ 70 ლარი გადავიხადეთ მენიუში და სუფრიდან, შეიძლება ითქვას, რომ მშივრები ავდექით, რადგან მენიუ შეამცირეს. სრული ქაოსია, ვერაფერს გაიგებ. მასშტაბური სიძვირის ფონზე მინიმალურ მოგებაზე გვიწევს საქმიანობა და მოთხოვნაც აღარ არის. მიზერულ 10%-ზე ვმუშაობთ და ეს ტურისტული ბიზნესისთვის ფაქტობრივად არაფერია. ასე თუ გაგრძელდა, დავიხურებით. ბოლო 5 წელია ეს ტენდენციაა და ყოველ წელს უარესობისკენ მივდივართ, ახლა პიკზე ვართ“, — აცხადებს „კომერსანტთან“ ნატალია კლიმიაშვილი.

* * *

ცნობისთვის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, აგვისტოში საქართველოში 266 544 ვიზიტი განხორციელდა, რაც 75.5%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. 2019 წლის აგვისტოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა.

აგვისტოში ყველაზე მეტი ვიზიტი 39 909 რუსეთიდან განხორციელდა, შემდეგ 34 847 ვიზიტით თურქეთი მოდის, მესამე ადგილზე კი უკრაინაა 29 372 ვიზიტით. აღსანიშნავია, რომ უკრაინიდან ვიზიტების ოდენობა 2019 წელთან შედარებით თითქმის 3%-ით არის გაზრდილი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, 266 544 ვიზიტიდან 247 222 ტურისტული მიზნით იყო.

მარი ჩიტაია

თამარ ივერი:

28-აბიან წამალში 225 ლარი(!) მთხოვეს...

ავსტრიაში ვნახე, 30 ევროდ ეყარა აფთიაქებში!

ცნობილი ქართველი სოპრანო თამარ ივერი სოციალური ქსელით წამლების ხელოვნურად გაზრდილ ფასებს აპროტესტებს და სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის პოსტს აქვეყნებს:

„დროა! არა მხოლოდ პოლიტიკოსების, მღვდელმთავრების, კაზინოების და სამშენებლო სამყაროს მაფიოზების ქეისები იკვლიოთ“, არამედ, სააფთიაქო მაფიის! ჰიპოკრატეს სახელით თეთრ ხალათიანი თაღლითების საქმე გამოიძიოთ და მათ იატაკქვეშა „საქმენი საგმირონია“ გამოამზეურონ. ჯერ ერთიც, წამლების ფასები თაღლითურად აქვთ 200-300%-ით გაზრდილი და მეორეც, შეკრულები არიან ექიმებთან რომ „აბლაბუდას ქსელში გაბმული“ პაციენტი“ მასთან მიაგზავნოს და რაც შეიძლება მეტი წამალი გამოუწეროს. აღარაფერს ვამბობთ ნარკოტიკული ზემოქმედების წამლების დახლქვეშიდან გაცემებზე.

ამას წინათ სრულიად ჩვეულებრივ 28-აბიან წამალში 225ლარი(!) მთხოვეს. შემდგომ კი ავსტრიაში ვნახე 30 (დაახლოებით 115 ლარი!) ევროდ ეყარა აფთიაქებში.

რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები რომ ვერანაირი კაზინოს თუ ნავთობის მაფია ახლოსაც ვერ მივა ადამიანების სიცოცხლეებით „მობურთავე“ სამედიცინო მაფიასთან!!!“ — წერს თამარ ივერი.

ლევან ლორთქიფანიძე: შიშით დაღლილები სულს ძლივს ვითქვამთ...

„ხალხს სუპერმარკეტსა და აფთიაქში შესვლის ეშინია, ყოველდღე იმატებს ფასები, ლარს ძალა არ აძვს“.

მედიაში უსაფრთხოების სამსახურის მასალებია გავრცელებული, დღე არ ჩაივლის ახალი საშინელება, უკანონობა, მორიგი ამაზრზენი ამბავი არ გავიგოთ...

ცოტა ხნის წინ გამოვიარეთ „შავი აგვისტო“, ამოწყდა ხალხი.

სააკაშვილი და უგულავა თავიანთი რეჟიმის დანაშაულებათა გამო ხელს მეგის ქარდავას აწმენდენ, ამბობენ, არც ვიცით ვინ არის ჩვენ მიერ შექმნილი სისხლიანი ჯალათი, პირველად გვესმის მისი სახელიო.

ირაკლი ღარიბაშვილი კი ორნახევარი წლის დაგვიანებით იწყებს საუბარს 20 ივნისის უდანაშაულო მსხვერპლად ქცეულ ადამიანებზე. პარალელურად, იმ კაცს, რომელსაც ემორჩილებოდა; რომელიც მისი პარტიის პირველი ნომერი იყო, არარაობას უწოდებს.

ამ უბედურებაში გვიწევს ცხოვრება, სიღარიბით, განუკითხაობით, პოლიტიკოსთა უსაზღვრო უპრინციპობით, შიშით დაღლილები სულს ძლივს ვითქვამთ, ქ-ნი ნათია თურნავა კი პირდაპირ გვეუბნება:

„საქართველო არის სტაბილურობის, სიმშვიდის და განვითარების კუნძული“...

„მის კონგენიალობა!“



ვაქცინაცია იმუნიტეტს არ ასუსტებს!

„უნდა დავიწყოთ ბავშვებისა და მოზარდების აცრა სეზონურ გრიპებზე, თორემ ისე აირევა ყველაფერი, უკან დაგვრჩება კოვიდი“...

„ზოგიერთებს ჰგონიათ, კოვიდის საწინააღმდეგოდ აცრის შემდეგ იმუნიტეტი ქვეითდებაო. არადა, იმუნიტეტი ისედაც დაქვეითებული გვაქვს ამ სიტუაციაში, როცა ადამიანს სრულყოფილი საჭმელი არ აქვს. რამდენმა ადამიანმა მიიღო ხორცი და ცილა? იმუნური სისტემა ხომ ამით იკვებება?“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედიატრი **გიორგი ჩახუნაშვილი**.

— მეოთხე ტალღის სიმძიმეს როცა აანალიზებენ, კითხვა ჩნდება, რატომ მივედით ამ შედეგამდე. თითქმის 7-თვიანმა ჩაკეტვებმა რატომ გამოიღო ასეთი შედეგი და ამ საქმეში რა როლი ენიჭებათ ტურისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით აჭარაში სხვადასხვა შტამი შემოიტანეს?

— პირდაპირ გეტყვით, ვინაიდან ქვეყანაში ჩავარდა ტესტირება, ვაქცინაცია, ასეთი შედეგი გასაკვირი არ არის. დღეს კიდევ კარგ პირობებში ვიმყოფებით. უფალი გვპატრონობს. ამაზე რატომღაც არ ამახვილებენ ყურადღებას, არადა, ყველაზე უმნიშვნელოვანესია, რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს ვაქცინაცია. დღეში გვჭირდება დაახლოებით 40 ათასი აცრილი, რომ რაღაც შედეგზე გავიდეთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახლა ოქტომბრის თვეში დაიწყება სეზონური გრიპები. ამიტომ უკან დაგვრჩება კოვიდი, შეიძლება ისეთი რეაქციები გვქონდეს ამ ვირუსებისგან, რომლებიც სეზონური ვირუსებია. ახლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აიცრან მოზრდილები და პარალელურად დავიწყოთ ბავშვებისა და მოზარდების აცრა სეზონურ გრიპებზე. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია და საზოგადოებამ უნდა იცოდეს. რაც მოხდა, მოხდა, ტირილი არ გვინდა ამის გამო, წესით, შავი ბაირაღები უნდა გვქონდეს გამოფენილი, დღეში 50 ადამიანი გვეღუპებოდა და 87-ზეც კი ავდიოდით. ყველა ოჯახს ვუსამძიმრებ, მაგრამ კიდევ დიდი მსხვერპლი რომ არ გვქონდეს, აუცილებელია, ყველა აიცრას. ამას გეუბნებით პედიატრი, რომელმაც 50 წელი ვიმუშავე ამ პროფესიით. ამ პერიოდისთვის, ანუ 15 სექტემბრისთვის შარშან უკვე დაწყებული გვქონდა ბავშვების და მოზარდების აცრა. 15-ში რომ ვერ დავიწყებდით ბავშვების აცრას სეზონურ გრიპებზე, ეს ისედაც ჩანდა, რადგან არავინ აცრაზე არ ლაპარაკობდა. ოქტომბერში მაინც უნდა ავიცრათ, ანუ პარალელურად უნდა დაიწყოს სეზონურ გრიპებზე აცრები. თორემ ისე აირევა ერთმანეთში ყველაფერი, ვერავინ ვერაფერს ვეღარ გაარჩევს და სამწუხარო შედეგები მერე ნახეთ. ვიმეორებ, ჯერ უნდა აიცრან დიდები, რადგან კლინიკებში მოხვედრილი ბავშვების 80-90%-ში მათი დედები არ არიან აცრილნი. ჯერ დიდი აიცრას და მერე ვილაპარაკოთ ბავშვებზე.

იხ. 11 გვ.

არის იმედი, რომ კორონავირუსი გაზაფხულისთვის დასრულდება...

ამერიკის მთავარი ინფექციონისტი იმედოვნებს, რომ კოვიდ-პანდემია მომდევნო წლის გაზაფხულისთვის დასრულდება.

„კორონავირუსმა სპეციალისტები არაერთხელ შეიყვანა შეცდომაში. არის იმედი, რომ ის გაზაფხულისთვის დასრულდება, მაგრამ გარანტია არ არსებობს“, — აღნიშნა ენტონი ფაუჩიმ.

მისივე თქმით, ვაქცინაციის სრული ციკლისთვის, აცრის მესამე დოზის მიღებაა საჭირო, რასაც ის მხარს უჭერს.

რუსა ვალებში ისროობი...

ღმერთმა ნუ ქნას და ქართველ კაცს ისე გაუჭირდეს, ისეთ უძირო ვალებში ჩავარდეს, რომ ველარც კანარის კუნძულებზე წავიდეს დასასვენებლად, ველარც ლონდონი და პარიზი მოიაროს დალოცვილი ევროკავშირის სიამეთა დასაგემოვნებლად, ღვიძლი შვილები რუსთაველის პროსპექტზე სამათხოვროდ გაუშვას, უძვირფასესი მეუღლე, საქართველოს დედოფლობა რომ დამშვენდებოდა, ოსმალეთის სულთნის ჰარამხანაში გაამწესოს, მერე საკუთარი შავი ჯიპიც გაყიდოს, ზედ მიაყოლოს სამსართულიანი სასახლე ვაკეში და ფეშენებელური აგარაკი წყნეთში.

ერთი სიტყვით, ყველაფერს გაყიდის, რაც გააჩნია, ვერსაჩეს ნიფხავ-პერანგისა და მამაპაპური სინდის-ნამუსის ჩათვლით, მაგრამ საყვარელ სამშობლოს არასდიდებით არ გაყიდის, მშობელ დედასავით ერთადერთ მამულს არ უღალატებს, თუნდაც ყველა ვალები გაუსტუმრონ და ზედ კიდევ ერთი რუსული მილიარდი ჩაუჯიბონ კონსპირაციულ ბინაზე.

არა და არა, სამშობლოს არ უღალატებს, სულს არავის მიჰყიდის.

აბა რას იზამს, შიმშილით სული ხომ არ უნდა გაძვრეს? კაი, შენი ჭირიმე, რავა გეკადრებათ, იქ ხომ არა ცხოვრობს, რა ჰქვია იმას, სანტა პეტერბურგში, ოხერ-ტიალში. თბილისში დაბადებულა და გაზრდილა, ნახევარი ქალაქი მისი სანათესაო არის და მეორე ნახევარი მისი სამეგობროა. თბილისი ხომ პაწაწკინტელა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს. ყველამ ყველაფერი იცის ყველასი. ღმერთმა დაიფაროს და ორივე ნახევარი რომ დაყრუვდეს, დაბრმავდეს და დამუნჯდეს, ეს ჩვენი გაჭირვებული აიღებს და ერთ ხოშიან რომანს გააშანშალებს. ქართული რომანის დაწერას რა უნდა?!

ერთი სიტყვით, ჩვენ რა გვიშავს, თქვენ საბრალო ამერიკელები იკითხეთ, ღმერთი რომ გაუწყრებათ და ვალებში ჩავარდებიან, ნათესაობა და მეგობრობა მაგათ მხოლოდ ლხინში იციან, ჭირსა და გაჭირვებაში – ნურას უკაცრავად! რაც შეეხება რომანს, აბა როგორ უნდა დაწეროს ამერიკელმა რომანი, რომელიც არაერთგზის დაუწერიათ ფოლკნერს, ჰემინგუეის, ფიცჯერალდს, ვულფს და ა.შ. ერთადერთი გამოსავალიღა დარჩენია, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ალბათ გახსოვთ ბრწყინვალე ამერიკული ფილმი „ბრწყინვალე შვიდეული“, ჩვენებურმა ჭკუის კოლოფებმა „შესანიშნავი შვიდეული“ რომ დაარქვეს. ჩვენს გახუნებულ ეკრანზე, ნახევარი საუკუნის წინათ, გაბრწყინდნენ იულ ბრინერი, სტივ მაკკუინი და ძმანი მათნი. თითოს საცოდავ 20 დოლარად რომ დაიქირავებენ ყაჩაღთაგან დამფრთხალი მექსიკელი გლეხები. დიახ, ორიოდე გროშის ფასად მიექირავებიან, ვაჟკაცურად დაიცავენ ჩაგრულს, როგორც ამერიკელებს სჩვევიათ და გადაჰყვებიან კიდეც. შვიდიდან ოთხი იღუპება! მიყრუებული და ღარიბ-ღატაკი მექსიკური სოფლის გულისათვის იღუპება ოთხი უკეთილშობილესი ამერიკელი, რაც უზომოდ ანცვიფრებს წითელპერანგა (!) ყაჩაღს, სასიკვდილოდ დაჭრილ კალვერას. აი, ეს გახლავთ ჰოლივუდი, ბრწყინვალეც და შესანიშნავიც.

ახლა ახალი ამბავი უნდა გაცნობოთ. თბილისური მითქმა-მოთქმის თანახმად, ამ ღვთივკურთხეულ ჰოლივუდში თურმე განუზრახავთ „ბრწყინვალე შვიდეულის“ ახალთახალი რიმეიკის გადაღება.

ბრწყინვალე შვიდეული უკვე შეურჩევიათ, ახალი შვიდეულის წევრები არტისტულ ხელოვნებაში, რასაკვირველია, ჩამოუვარდებიან უბადლო იულ ბრინერსა და შეუდარებელ სტივ მაკკუინს, მაგრამ სროლა და სხვა საქმენი საგმირონია ათასჯერ მეტად ემარჯვებათ, ვიდრე გამოწვრთნილ-გამობრძმედილ ჰოლივუდელებს.

ახლა ახლოს გავიცნოთ ახალი ბრწყინვალე შვიდეული.

დევიდ ბარნეტი. დაიბადა 1933 წელს. 1955 წელს დაამთავრა მიჩიგანის უნივერსიტეტი. 1958 წელს ჩარიცხეს ანალიტიკოსის თანამდებობაზე – ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში („სენტრალ ინტელიჯენს ეიჯენსი“. შემოკლებით სი-აი-ეი, ჩვენში, ყოფილი უფროსი ძმის მიბაძვით, „ცერეუს“ რომ ეძახიან). სამსახურებრივი კარიერის შემდგომი საფეხურებია: არმიის დაზვერვა, კორეა, ვაშინგტონი, 1967 წლიდან – ინდონეზია (დიპლომატის საფარქვეშ). ევალებოდა იქ დამკვიდრებული საბჭოთა სპეციალისტების გადმობირება (რუსულად „ვერბოვკა“ რომ ჰქვია).

1970 წელს ბარნეტი დაემშვიდობა მოქმედ სამსახურს, მაგრამ კონტრაქტით განაგრძობდა მუშაობას დაზვერვაში. მერე დაბრუნდა ინდონეზიაში, გახსნა კრევეტის პატარა ქარხანა, შემდგომში ავეჯის ექსპორტს მოჰკიდა ხელი.

დაზვერვის ანალიტიკოსმა, ვაგლახ, ბიზნესში ვერ ივარგა. ბანკის ვალი დაედო – 100 ათას დოლარზე მეტი. რა უნდა ექნა? შორეულ ინდონეზიაში არც ნათესავი ჰყავდა, არც მეგობარი.

ანკი რას უშველიდნენ, ვის დაესიზმრებოდა ზედმეტი ასი ათასი... რომანი დაეწერა? მაგრამ ფოლკნერისა და ჰემინგუეის სამშობლოში ვის რა ჯანდაბად უნდოდა დევიდ ბარნეტის რომანი?! ინდონეზიელებმა კი მხოლოდ საყველპურო ინგლისური იცოდნენ.

ერთადერთი გამოსავალიღა დარჩენოდა და ბევრი არ უფიქრია, 1976 წლის ოქტომბრის თვეში საბჭოთა საელჩოს მიადგა და თავისი სამსახური შესთავაზა საბჭოთა დაზვერვას - 80 ათასი დოლარის საზღაურად. (20 ათასი, ეტყობა, მუთაქაში ჰქონდა გადანახული). სიამოვნებით დათანხმდნენ.

ბარნეტმა აცნობა თავის ახალ ბატონ-პატრონებს დეტალები ამერიკული დაზვერვის მორიგი ოპერაციისა, რომელსაც უნდა მოეპოვებინა საბჭოთა დოკუმენტაცია და საბჭოთა საბრძოლო სისტემის ნიმუშები, აგრეთვე – მასალა ამერიკული კონტრდაზვერვის ოპერაციათა შესახებ საბჭოთა აგენტურის წინააღმდეგ, აგრეთვე – გვარები ამერიკული დაზვერვის 30 თანამშრომლისა, ინდონეზიაში რომ ირჯებოდნენ (როგორც შემდგომში გაირკვა, ბარნეტისთვის სულ გადაუხდიათ 92 600 დოლარი).

1980 წლის 18 მარტს გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ (ეფ-ბი-აი) ბარნეტი დაპატიმრა შპიონაჟის ბრალდებით. 1981 წლის 8 იანვარს მიუსაჯეს 18 წელი (კარგი ყოფაქცევის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს 1990 წელს).

ედვარდ ჰოვარდი. დაიბადა 1951 წელს. 1972 წელს დაამთავრა ტეხასის უნივერსიტეტი (ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის ფაკულტეტი). სხვადასხვა სამსახური გამოიცვალა და 1980 წელს მიიწვიეს ამერიკულ დაზვერვაში სამუშაოდ. სპეცმომზადების კურსები გაიარა და 1981 წლის 28 იანვარს ჰოვარდი მიამაგრეს სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილებას. ამზადებდნენ მოსკოვის რეზიდენტურაში ოპერატიულ მუშაკად გამწესებისთვის.

საუცხოო კარიერა ელოდა, მაგრამ 1983 წლის გაზაფხულზე უხიმანდრა სიცრუის დეტექტორმა. მორიგი შემოწმებისას გამოირკვა, რომ ჰოვარდი ახერხებდა, დაემალა ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით თავისი გატაცება, აგრეთვე – მიდრეკილება თაღლითობისკენ. რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დაითხოვეს სამსახურიდან.

ოჯახს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა.

რა უნდა ეღონა, რა წყალში ჩავარდნილიყო? რომანი დაეწერა? მაგრამ ფიცჯერალდისა და ვულფის სამშობლოში ზედაც არ დააფურთხებდნენ ვიღაც ჰოვარდის რომანს. ერთადერთი გამოსავალიღა დარჩენოდა. და ბევრი არ უფიქრია. 1984 წლის სექტემბერში, აბა თუ გამოიცნობთ, ვის მიადგებოდა? ვის მიადგა და საბჭოთა საელჩოს მიადგა და თავისი სამსახური შესთავაზა საბჭოთა დაზვერვას. სიამოვნებით დათანხმდნენ. ძალზე ძვირფასი შენაძენი გამოდგა ეს ჰოვარდი.

აი, რა გასცა: ამერიკული დაზვერვის ოპერაციები საბჭოეთის წინააღმდეგ, საბჭოეთში ოპერატიული მუშაობის მეთოდები, საშუალებანი ტექნიკური დაზვერვის საწარმოებლად, ფსევდონიმები ამერიკული დაზვერვის რამდენიმე მსხვილი აგენტისა საბჭოთა კავშირში.

თითქმის ორი მილიონი დოლარი მოიხვეჭა.

ჰოვარდი ჩაუშვა ამერიკაში გადახვეწილმა „კაგებე“-ს თანამშრომელმა ვიტალი იურჩენკომ, მაგრამ სასამართლომ ბრალდებულს ბრალდება ვერ დაუმტკიცა.

1985 წლის სექტემბერში ჰოვარდმა, მიუხედავად მასზე დაწესებული თვალთვალისა, მოახერხა გაქცევა შტატებიდან. უვნებლად ჩააღწია ჰელსინკში. იქიდან კი მალულად გაამგზავრეს „ახალ სამშობლოში“. მშვიდად და კომფორტულად ცხოვრობდა, ცოტას ლოთობდა კიდეც. გარდაიცვალა მოსკოვში 2002 წელს.

ოლდრიჩ ეიმსი. დაიბადა 1942 წელს. 1967 წელს დაამთავრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი (ისტორიის ბაკალავრის ხარისხით). იმავდროულად მუშაობდა „ცერეუ“-ში ჯერ კლერკად, შემდგომში - ანალიტიკოსად საარქივო განყოფილებაში.

1969 წელს იწყებს თურქული ენის შესწავლას და გზავნიან ანკარაში. მისი ცდანი გადმოებირებინა საბჭოთა მოქალაქენი, წარუმატებელი აღმოჩნდა. 1972 წელს დაუმთავრდა მივლინება. უარყოფითი დახასიათება მისცეს, აგენტთა გადმობირება დამოუკიდებლად არ ძალუძსო.

დანიშნეს სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილებაში კონტრდაზვერვის ქვეგანაყოფის უფროსად. ანალიტიკოსად უფრო გამოდგა, ვიდრე ოპერატიულ მუშაკად. „ცერეუ“-ს გენერალური ინსპექტორი ასე ახასიათებდა მას: „მოქნილი გონება და ინტელექტუალური ცნობისწადილი. სურვილი თვითგანათლებისა იმ დარგებში, რომლებიც სცდება სამსახურებრივ ამოცანათა ჩარჩოებს“.

მაგრამ.... 1976 წელს მეტროს ვაგონში დარჩა პორტფელი საიდუმლო დოკუმენტებით.

მაგრამ... სმა უყვარდა. მთვრალს რამდენჯერმე ჩაეძინა თავის კაბინეტში.

ცოლს გაეყარა. განქორწინების პროცესი დიდძალ თანხას მოითხოვდა, ვალებში ჩავარდა - 50 ათასი დოლარი სასწრაფოდ უნდა გადაეხადა.

როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებდა?

არა, რომანის დასაწერად დრო აღარ ჰქონდა. თანაც – ფოლკნერი, ჰემინგუეი, ვულფი...

ნუთუ ვერ ხვდებით, რას გააკეთებდა?

ბევრი არ უფიქრია და საბჭოთა დაზვერვას შესთავაზა თავისი სამსახური. რატომაც არა!

1985 წელს ხელი მიუწვდებოდა ამერიკული დაზვერვის ყველა ოპერაციაზე საბჭოთა დაზვერვის წინააღმდეგ. გაამზადა თავისი აღსარება: „მე ოლდრიჩ ეიმსი, ვმუშაობ კონტრდაზვერვის ქვედანაყოფის უფროსად „სი-აი-ეი“-ს სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილებაში... სასწრაფოდ მჭირდება 50 ათასი დოლარი გარკვეული ინფორმაციის საზღაურად“.

50 ათასი მყისვე მიართვეს. მადა ჭამაში მოდისო და მერე მოაწყდა დოლარების ნიაღვარი.

ეიმსის წყალობით დააპატიმრეს საბჭოთა სამშობლოს მოღალატეთა მთელი პლეადა. „კაგებე“-სა და სამხედრო დაზვერვის რიგებში. მაიორებსა და პოლკოვნიკებს ვინ ჩივის, 1988 წელს დახვრეტილ იქნა გენერალ-მაიორი პოლიაკოვი (ორი-სამი წელი რომ დასცლოდა, ვიღა დახვრეტდა!).

აშშ სენატის დასკვნით, „ეიმსის მოღვაწეობამ გამოიწვია ინფორმაციის ყველა ფასეული წყაროს დაკარგვა საბჭოთა კავშირში – გაგანია ცივი ომის დროს“. ამერიკული მონაცემების მიხედვით, რამდენიმე წლის მანძილზე ოლდრიჩ ეიმსმა საბჭოთა დაზვერვისგან მიიღო 2 მილიონ 700 ათასი დოლარი.

1994 წელს დააპატიმრეს. ძირითადი ბრალდება იყო შპიონაჟი და (არ გაგეცინოთ!), – საბჭოთა დაზვერვის ჰონორარებიდან გადასახადების გადაუხდელობა. ამგვარი ბრალდება სადმე გაგიგონიათ?! სამშობლოს ღალატით მოხვეჭილი შემოსავლიდან გადასახადები რატომ არ გადაიხადეო?

მიუსაჯეს უვადო პატიმრობა და დღესაც ზის. განაჩენი ითვალისწინებდა მთელი უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაციას. მათ შორის – მომავალ შემოსავალს წიგნებიდან, ფილმებიდან, ინტერვიუებიდან ...

ახალი „ბრწყინვალე შვიდეულიდან“ ვიკმაროთ სამი წამყვანი სპეციალისტის ასავალ-დასავალი. დანარჩენი ოთხის შესახებ (ოთხივე „ცერეუს“ რიგებში მსახურობდა) გაკვრით მოგახსენებთ შემდეგს:

ჰაროლდ ნიკოლსონი. ორეგონის შტატის უნივერსიტეტი, რუსეთის საელჩო. ჰონორარი 180 ათასი დოლარი. პატიმრობა 23 წლით. დღესაც ზის.

ედვინ პიტსი. მისურის შტატის უნივერსიტეტი. რუსეთის საელჩო, ჰონორარი 224 ათასი დოლარი. პატიმრობა 27 წლით. დღესაც ზის.

ჯეკ დანლაპი. ერთადერთია „ბრწინვალე შვიდეულიდან“, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუღია. კორეის ომში გამოჩენილი გმირობისთვის დაჯილდოებულია ორდენმედლებით. შვიდი შვილი ჰყავდა. საბჭოთა დაზვერვა, ჰონორარი 600 ათასი დოლარი. ციხეში ჩაჯდომას თავის მოკვლა ამჯობინა. როგორც ომის ვეტერანი, განისვენებს არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე აშშ პრეზიდენტის ჯონ კენედის სამარიდან ასიოდე მეტრის დაშორებით.

რონალდ პელტონი. ინდიანას შტატის უნივერსიტეტი. საბჭოთა დაზვერვა. ჰონორარი 350 ათასი დოლარი. სამი უვადო პატიმრობა. 2016 წელს გაათავისუფლეს სიბერის გამო ...

ღმერთო დიდებულო, ესენი ვინ ყოფილან!

მოამზადა
ლაშა გიორგაძემ

სად გაქრა ოქროს უნიტაზი?

ბრიტანეთში, ძარცვიდან 2 წლის შემდეგ, 18-კარატიანი ოქროსგან დამზადებული უნიტაზის ქურდებს კვლავ ეძებენ. მომხდართან დაკავშირებით პოლიციამ 7 ადამიანი დააკავა, თუმცა მალევე გაათავისუფლა და ქურდობის ფაქტზე ბრალი ამ დრომდე არავისთვის წაუყენებია. უნიტაზის ღირებულება 6 მილიონ დოლარს შეადგენს. უნიტაზის დაბრუნებისთვის კი სადაზღვევო კომპანიამ 100 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯილდოც კი დააწესა.

მომუშავე უნიტაზი სახელწოდებით „ამერიკა“ ოქსფორდშირიდან, ბელნჰეიმის სასახლიდან 2019 წლის 14 სექტემბერს მოიპარეს, სადაც გამოფენაზე ინსტალაციის სახით იყო წარდგენილი. მანამდე უნიტაზი ნიუ-იორკის გუგენჰაიმის მუზეუმში იყო განთავსებული და სტუმრებს მისით სარგებლობაც შეეძლოთ.

ᲕᲝᲚᲤ ᲛᲔᲡᲘᲜᲒᲘ: „ᲠᲝᲪᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ...“

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲛᲘᲯᲜᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲙᲘ ᲢᲔᲚᲔᲠᲐᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲚᲘ.

ᲘᲛ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ **განვაგრძობდი ჩემი „ფსიქოლოგიური ცდებით“ გამოსვლას სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს მოღვაწეობას ყურადღება არც სახელმწიფოს მხრიდან აკლდა, რომელიც დიდად აფასებდა ჩემს საქმიანობას და კარგ ანაზღაურებასაც მაძლევდა, არც პრესისა და მაყურებლებისგან, რასაც მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები და „ფსიქოლოგიურ ცდებზე“ გამუდმებული ანშლაგები მოწმობს. მოსახლეობის მხოლოდ ერთი კატეგორიის წარმომადგენლებს ჩემდამი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ — ესენი მეცნიერები არიან. ისინი შემიძლია ორ მკვეთრად გამიჯნულ ჯგუფად დავყო: ჩემს მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ამასთან, არიან ისეთებიც, ვინც იქნებ სიხარულითაც მაღიარებდა, მაგრამ ჩემი ცდების არსი უბრალოდ არ ესმით.**

ახლა კი, ვფიქრობ, დადგა იმის დრო, რომ ყველაფერი გიამბოთ იმის შესახებ, რაც თავად მე ვიცი ჩემს უნარზე.

რისი თქმა შემიძლია ამის შესახებ? არსებითად, არაფრის, რადგან თავადაც არ მესმის, როგორ ხდება ყოველივე.

არავითარ შემთხვევაში არ მინდა მკითხველს შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ჩემი უნარი რაღაც ზებუნებრივის, გამოუცნობის სფეროს მინდა მივაკუთვნო. მასში განსაკუთრებული ზუსტად იმდენივეა, რამდენიც ადამიანის ნებისმიერ სხვა უნარში.

მარტივ მაგალითს მოვიყვან: წარმოიდგინეთ, რომ თვალისჩინდაკარგულთა ქვეყანაში აღმოჩნდით, სადაც მხედველობა მარტო თქვენ გაქვთ, ვიღაც კირკიტა ბრმა მეცნიერ-მწერალი კი დაჟინებით გეკითხებათ:

— ნუთუ შეგიძლიათ თქვენგან ათობით და ასობით მეტრით დაშორებული საგნების დანახვა? ყოვლად წარმოუდგენელია! აბა, ერთი მომიყევით, როგორ ახერხებთ ამას?

ახლა კი სცადეთ თავად აუხსნათ ამ თქვენზე ჩაციებულ კაცს, როგორ შეგიძლიათ ხედვა...

მეც დაახლოებით ასეთ მდგომაროებაში ვარ, თუმცა კი მოყვანილი მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ჩემზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებით, რადგან შეძლებთ ხილული სხივების ფიზიკური არსის ახსნას, იმის მოყოლასაც, თუ როგორ მუშაობს თვალი და მის მდგენელი ნაწილები — ბროლი, ბადურა, ნერვული დაბოლოებები... მაგრამ, თუკი თქვენ იმ ჰიპოთეტური ბრმების ქვეყნის მკვიდრი ხართ, სადაც მხედველობის არეში არანაირი ცდა არ დაუყენებიათ, პრაქტიკულად, ვერაფრის ახსნას შეძლებთ. ამ შემთხვევაში თქვენც იმ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, როგორშიც მე.

ხშირად სხვა კითხვითაც მომმართავენ:

— შეგიძლიათ, რომ მასწავლოთ, ბატონო ვოლფ?

მე, ჩვეულებრივ, მხრებს ვიჩეჩავ. როგორც ჩანს, ისევე, როგორც სხვა უნარის, ვთქვათ, ხატვის, სწავლა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია — აბა, ტყუილად როდი არსებობენ ნაირნაირი სამხატვრო სასწავლებლები, — ალბათ, რაღაც დონეზე ამ უნარის განვითარებაც შეიძლება. მაგრამ, თუკი კაცს მხატვრობის ნიჭი არ დაჰყვა, ღირსშესანიშნავი სურათების შექმნას იგი ვერაფრის დიდებით ვერ შეძლებს, რაგინდ



ᲩᲔᲛᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲠᲘᲠᲘᲢᲘᲖᲛᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲐᲖᲔᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲔᲓᲘᲣᲛᲛᲐ ᲞᲐᲠᲙᲔᲠᲛᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲮᲕᲔᲭᲐ.

თავდადებული და ნიჭიერი მასწავლებლებიც უნდა ჰყავდეს.

* * *

...ᲛᲐᲮᲡᲘᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲯᲣᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲞᲐᲗᲔᲑᲗᲐᲜ — ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲝᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲖᲔᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲙᲣᲗᲕᲜᲝ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲕᲔᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲜᲐᲠᲨᲘ.

მარტივ მაგალითს მოვიყვან: წარმოიდგინეთ, რომ თვალისჩინდაკარგულთა ქვეყანაში აღმოჩნდით, სადაც მხედველობა მარტო თქვენ გაქვთ, ვიღაც კირკიტა ბრმა მეცნიერ-მწერალი კი დაჟინებით გეკითხებათ:

— ნუთუ შეგიძლიათ თქვენგან ათობით და ასობით მეტრით დაშორებული საგნების დანახვა? ყოვლად წარმოუდგენელია! აბა, ერთი მომიყევით, როგორ ახერხებთ ამას?

ახლა კი სცადეთ თავად აუხსნათ ამ თქვენზე ჩაციებულ კაცს, როგორ შეგიძლიათ ხედვა...

მეც დაახლოებით ასეთ მდგომაროებაში ვარ, თუმცა კი მოყვანილი მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ჩემზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებით, რადგან შეძლებთ ხილული სხივების ფიზიკური არსის ახსნას, იმის მოყოლასაც, თუ როგორ მუშაობს თვალი და მის მდგენელი ნაწილები — ბროლი, ბადურა, ნერვული დაბოლოებები... მაგრამ, თუკი თქვენ იმ ჰიპოთეტური ბრმების ქვეყნის მკვიდრი ხართ, სადაც მხედველობის არეში არანაირი ცდა არ დაუყენებიათ, პრაქტიკულად, ვერაფრის ახსნას შეძლებთ. ამ შემთხვევაში თქვენც იმ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, როგორშიც მე.

ხშირად სხვა კითხვითაც მომმართავენ:

— შეგიძლიათ, რომ მასწავლოთ, ბატონო ვოლფ?

მე, ჩვეულებრივ, მხრებს ვიჩეჩავ. როგორც ჩანს, ისევე, როგორც სხვა უნარის, ვთქვათ, ხატვის, სწავლა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია — აბა, ტყუილად როდი არსებობენ ნაირნაირი სამხატვრო სასწავლებლები, — ალბათ, რაღაც დონეზე ამ უნარის განვითარებაც შეიძლება. მაგრამ, თუკი კაცს მხატვრობის ნიჭი არ დაჰყვა, ღირსშესანიშნავი სურათების შექმნას იგი ვერაფრის დიდებით ვერ შეძლებს, რაგინდ ყავს, შეგიძლიათ კეფით ერთ სკამზე დამდოთ, მეორეზე კი ქუსლები დამაწყობინოთ ისე, რომ ერთგვარი „ხიდი“ გაკეთდეს. თანაც ზედ შეიძლება საკმაოდ მძიმეწონიანი კაცი დამაჯდეს, რომელსაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი მილიმეტრითაც ვერ დავძრავ. კატალეფსიის მდგომარეობაში კი მის წონას საერთოდ ვერ ვიგრძნობ. ამ დროს გულისცემა აღარ ისინჯება, გული თითქმის აღარ ძგერს, სუნთქვა ჩერდება...

ამ მდგომარეობაში საკუთარი ნებით შევდივარ, მართალია ხანგრძლივი, რამდენიმესაათიანი თვითმომზადების მთელი ნებისყოფის უკიდურესი მობილიზებით და, როგორც ჩანს, თვითჰიპნოზის მოშველიებით. მაგრამ, მე საკმაოდ ხშირად შევხვედრილვარ მიმბაძველებს, რომლებიც ამ მდგომარეობის სიმულირებას სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობების — რკინის ბურთულაკების, ლითონის ღეროებისა და საკეტიანი კორსეტებისა და ა.შ. დახმარებით ახერხებენ...

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთში, არგენტინაში, სხვაგან, ფართოდაა გავრცელებული ეგრეთ წოდებული „ოკულტური მეცნიერებები“, რომლებსაც, ვიზუალურის გარდა, არანაირი ეროვნული განმასხვავებელი ნიშანი არა აქვთ.

კერძოდ, მახსოვს ქირომანტი პიფელო, რომელიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ თილისმებს არიგებდა, რომლებიც მის პატრონს სხვადასხვა გასაჭირისგან „იცავდა“. იყო კიდევ ფსიქოგრაფოლოგი შილერ-შკოლნიკი, რომელიც წარსულს კითხულობდა და მომავალს განჭვრეტდა მხოლოდ ხელწერით. სხვათა შორის, დიდ გოეთესაც, რომელსაც ავტოგრაფების უზარმაზარი კოლექცია ჰქონდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ადამიანის ხასიათი და სულიერი განწყობა წერის მანერაში აისახება, რომლის მიხედვით შესაძლებელია დამწერის ხასიათის ინდივიდუალური ნიშნების დადგენა.

სიმართლე გითხრათ, მიჭირს იმის განსჯა, თუ რამდენად ზუსტად აისახება ხელწერაში ხასიათის ესა თუ ის მიდრეკილებები, თუმცა კი სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ხელწერის არც წარსულის, არც მომავლის გაგება არ შეიძლება.

არსებობდნენ ასევე მეტაფსიქიკოსების — სპირიტებისა და მისტიკოსების ნაირ-ნაირი საზოგადოებები. მათი წევრები ძირითადად იყვნენ „მედიუმები“, რომლებიც გარდაცვლილთა სულებს „იძახებდნენ“ და ისინი დამსწრეთა კითხვებს „პასუხობდნენ“. თუმცა, მათ, ვისაც ამ ცდებისა არ სწამდა, სეანსებზე არ უშვებდნენ იმ მიზეზით, რომ ისინი „უარყოფით ფლუიდებს“ გამოყოფდნენ, რომლებიც კონტაქტის დამყარებას უშლიდნენ ხელს. ყველაზე ძლიერ მედიუმად ითვლებოდა ვინმე იან გუზინი, რომელიც ნაპოლეონის, ალექსანდრე მაკედონელის, ადამ მიცკევიჩისა და სხვა ცნობილ პირთა სულებს იძახებდა. ვფიქრობ, რომ საჭირო არაა იმის თქმა, რომ ამ კაცს უბრალოდ მასობრივი ჰიპნოზის გამოწვევის უნარი ჰქონდა, რომელსაც მოხერხებულად იყენებდა.

ამდენად, ჩემი ღრმა რწმენით, მთელი სპირიტიზმი ტყუილსა და თაღლითობაზეა დამყარებული. თავის დროზე ლამის მსოფლიო დიდების მქონე მედიუმმა პარკერმა ამით უზარმაზარი ქონება მოიხვეჭა.

მოკლედ, სხვადასხვა ჯურის „ოკულტისტებს“ იმიტომ ვუთმობ ამდენ დროს, რომ ისინი კულისებში ახლოს მინახავს და ხელითაც შევხებივარ იმ საიდუმლო მოწყობილობებს, რომელთა მეშვეობით ისინი მიამიტ მაყურებელს აბითურებდნენ. არ მიყვარს ხალხის მოტყუება. გაცილებით მესიმპათიურება პატიოსანი ფაკირი ბენ ალი, რომელიც თავის დროზე ვარშავის ცირკში გამოდიოდა. ერთ-ერთი ნომრის დროს მას პისტოლეტს ესროდნენ, ის კი... ტყვიებს ხელით იჭერდა. იგი არ მალავდა, რომ ეს მეტად მოხერხებული ფოკუსია და იმქვეყნიური ძალები აქ არაფერ შუაშია.

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მინდა, მკვეთრად გავმიჯნო, ერთი მხრივ, მისტიკა და თაღლითობა, მეორე მხრივ, კი ტელეპათია, რომელსაც მათთან საერთო არაფერი აქვს. და სავსებითაც მატერიალისტურია, თუმცა სამწუხაროდ, ძალიან ცუდად შესწავლილი.

როგორც ჩანს, დიდი ტელეპათიური ნიჭი ჰქონდა ცნობილ საერთაშორისო ავანტიურისტ გრაფ ალექსანდრე კალიოსტროს, რომლის ნამდვილი სახელია ჯუზეპე ბალზამო. იგი 1743 წელს კუნძულ სიცილიაზე დაიბადა, ხოლო 1795 წელს ურბინოს მახლობლად ფორტ სენ-ლიონში გარდაიცვალა, სადაც რომის პაპის პიუს VI ბრძანებით იყო დატუსაღებული. იგი თავს ყველა სნეულების მკურნალ ექიმად, ალქიმიკოსად, ბუნებისმეტყველად, ფილოსოფიური ქვის პატრონ ნათელმხილველად, თანაც უკვდავად ასაღებდა, რომელიც უკვე რამდენიმე ათასწლეულის ასაკისაა. სამწუხაროდ, მას არც რაიმე ჩანაწერები, არც დღიურები არ დაუტოვებია, ხოლო ყველა „მემუარები“ ყალბია.

იგი უდავოდ, ტელეპათების პირველ ჯგუფს განეკუთვნება — მათ, ვინც თავგამოდებით აზვიადებს საკუთარ შესაძლებლობებს. მას ენათესავება აგრეთვე უკვე ნახსენები ჰანუსენ-ლაუტენზაკი, რომელიც, მაგალითად, ირწმუნებოდა, რომ მისი პირით გარდაცვლილებს შეუძლიათ ლაპარაკი.

არადა, არიან სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიის მქონე ტელეპათებიც, რომლებიც ცდილობენ, დაუმტკიცონ მეცნიერებს, რომ თავის ტვინს სხვა ადამიანის თავის ტვინის ბიოდენებისადმი ხელსაწყოებზე გაცილებით მეტი მგრძნობელობა აქვთ, რის შედეგად აზრებისა და სახეების ანუ ინფორმაციის გარკვეულ მანძილებზე გადაცემა სავსებით შესაძლებელია.

ამასთან, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ტელეპათიის შემთხვევაში ელექტრომაგნიტური ველი არაფერ შუაშია და მისი განხორციელება სხვა რომელიღაც ველით ხდება. თუ ასეა, მაშინ, მეცნიერებამ უნდა მიაგნოს მას და შეისწავლოს. გავიხსენოთ თუნდაც რადიოტალღების მაგალითი. გამორიცხული არ არის, რომ ტელეპათია ვრცელდება გრავიტაციული ველის ტალღებით, რომლებისთვისაც პრაქტიკულად არანაირი წინაღობა არ არსებობს.

არიან კიდევ ტელეპათები, ვინც თავის უნარს მალავენ.

ისტორიისთვის არაერთი უაღრესად გამჭრიახი დიპლომატია ცნობილია, რომლებთან მოლაპარაკებათა წარმართვა უაღრესად ჭირს, რადგან ისინი როგორღაც ხვდებიან მოწინააღმდეგეთა ფარულ ზრახვებს.

დაბოლოს, მესამე ჯგუფის ტელეპათებს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც საერთოდ არანაირი წარმოდგენა არა აქვს საკუთარ იშვიათ უნარზე.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №159-160, 161-162, 168, 170

◎ რა უთქვამს, რა მოუჩმახავს!

დასაშამათებლად განწირული

მაშინ, როცა თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში ბრძენთა თამაშის სწორუპოვარი დედოფლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირის გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ, დღის შუქი იხილა „ნეტფლიქსის“ პასკვილმა, რომელიც გენიალურ ქართველ მანდლოსანს რუსად მოიხსენიებდა და დასძენდა, მას ვაჟებთან არასოდეს უბრძოლია 64-უჯრიან დაფაზეო.

ნათქვამია – ვირისგან წიხლი საწყენი არაა, რაც მართალი გახლავთ, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

დიახ, ეს „ნეტფლიქსები“ თუ მისი გამხმოვანებელი ადამიანის მსგავსი რუპორები მიდიან და მოდიან, საუკუნის მოვლენის სახელი და საქმე კი სამშობლოსა თუ სპორტული სამყაროს სადიდებლად რჩება, რათა კაცობრიობას ჩვეულებრივ მოკვდავთა ამოუწურავი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების დასტურად სამარადჟამო ძეგლი დაუდგას.

თუმცა, უცხოტომელთაგან ასეთი ტვინნაღრძობობა რაღა გასაკვირია, როცა ერის სიამაყეს პირუთვნელ მოქალაქეობრივ პოზიციას ივერიაშიც არ პატიობენ და პერიოდულად იმ ტალახით ცდილობენ მის მოსვრას, რომელიც ბუმერანგივით მათვე უბრუნდება უკან, ჩვენს თვალსაჩინო და ხელიხელსაგოგმანებელ თანამემამულეს კი ამით არაფერი აკლდება.

მაგალითად სულმნათი ბადრი პატარკაცი შვილისადმი ერთგულების გამოხატვის ფაქტიც გამოდგება, როცა ამ საამაყო მამულიშვილს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად მოღვაწეობისას ამაგი თითქმის ყველამ წყალში ჩაუყარა და სამარცხვინო ნაციონალური რეჟიმისადმი ყურმოჭრილი მონობა ამჯობინა საკუთარ სინდისთან პირნათელობას.

კიდევ კარგი, ყველა არაა მედროვე!

◎ „დინამოში“

სჯობს გვიან...

მაშინ, როცა ყავლგასული პოლიტიკანები მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად ქვეყანაში რევოლუციური სცენარის განვითარებით იმუქრებიან, მსგავსი პროექტი ქართული ფეხბურთის ბრენდში – თბილისის „დინამოში“ უკვე ხორციელდება.

საუბარია კლუბის პრეზიდენტ **რომან ფიფიას** მიერ მოღვაწეობის 10 წლისთავზე ძალაუფლების ახალ სპორტულ დირექტორ – ახლო წარსულში ეროვნული ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **ალექსანდრე რეხვიაშვილთან** გაყოფაზე, რომელსაც ზურგს გუნდის მთავარ მწვრთნელ **კახა ცხადაძესთან** ბაქოს „ინტერში“ ნაყოფიერი თანამშრომლობა და სოლიგორსკის „შახტიორის“ მიერ ბელარუსის ჩემპიონობის მეორედ მოპოვებაში შეტანილი ღირსეული წვლილი უმაგრებს.

რაც შეეხება რეფორმების მეორე ეტაპს, იგი უახლოეს მომავალში ბიზნესმიმართულების „ჯეო თიმისთვის“ ჩაბარებასა და ფინანსური დირექტორის დანიშვნას ითვალისწინებს, რითაც დასრულდება სტრუქტურული რეორგანიზაცია და საბოლოო სახეს მიიღებს ბორდი. მოკლედ, დიღომში პროფესიონალთა დიქტატურა მაშინ მყარდება, როცა „კრისტალბეთ“ ეროვნულ ლიგაში „თეთრ-ლურჯები“ უკვე ნ ქულით ჩამორჩებიან „ბათუმს“, რომელსაც დამატებით მოტივაციას ახალი სტადიონის ფაქტორი სძენს. ვნახოთ, როგორ გაიხსნება კვანძი.

◎ განუყრელნი

საუკუნის რედაქტორი

სიმბოლურია, რომ თითოეული გულშემატკივრის სამაგალითო გაზეთის – „ლელოს“ საიუბილეო – მე-16 000-ე ნომრის გამოცემას მისი ლეგენდარული რედაქტორის – მიხეილ კაკაბაძის 100 წლისთავი დაემთხვა. დიახ, ისინი მართლაც წარმოუდგენელია უერთმანეთოდ, მიუხედავად იმისა, რომ არც გულისტკივილი დაჰკლებია და ერთხანს საკუთარი საფიცარი პირმშოს დატოვებაც მოუწია.

ნოვატორი მოაზროვნე კალმოსნისა და ქართული ენის სიწმინდის დაცვით გამორჩეული რეფორმატორი ეროვნული მოღვაწის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ თხოვნით მიმართა დედაქალაქის მერიას თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჩვენი მარადიული თანამედროვის სახელი მიენიჭოს!

დიახ, კეისარს კეისრისა უნდა მიეგოს!

◎ ფორუმის წინ

მწარე ძირი

ევროპის 18-წლამდელთა ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებული – საქართველოს ნაკრები 2-9 ოქტომბერს კალინინგრადში 8 გუნდის მონაწილეობით გასამართავი წლევანდელი ფორუმისთვის ღირსეულად მომზადების მიზნით გაფართოებული – 43-კაციანი შემადგენლობით ორკვირიან შეკრებაზე მარტყოფში ღვრის ოფლს.

„უმცროს ბორჯღალოსანთა“ განახლებულ სამწვრთნელო შტაბში **ზურაბ ამონაშვილი, თორნიკე ბუბუტეიშვილი** და **პაატა მაისურაძე** ითანამშრომლებენ, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ 2018 წელს ჩვენებურებმა სატიტულო ბრძოლა თვით ფრანგ თანატოლებს მოუგეს – 8:3, ხოლო 2019 წელს ესპანეთი დასცეს – 20:10.

ამასობაში ქართველი ლეგიონერები განაგრძობენ წარმატებით თამაშს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ – პირველ დივიზიონში და არც აღიარება აკლიათ.

ასე მაგალითად, მეორე ტურის შემდეგ „მიდი ოლიმპიკის“ მიერ დასახელებულ საუკეთესოთა სიმბოლურ ნაკრებში „ბორდოს“ შერკინების ბურჯი **ლექსო ყავლაშვილი** მოხვდა, ხოლო სტარტზე ანალოგიური პატივი **თორნიკე ჯალაღონიასა** და **ბექა გიგიშვილს** ხვდათ წილად.

საკალათბურთო მოზაიკა

ავსტრიის მოქალაქე გიორგი ბეჟანიშვილი გოგა ბითაძისა და სანდრო მამუკელაშვილის შემდეგ მესამე ქართველი კალათბურთელია, ვინც დამდეგ სეზონს ნბა-ში გაატარებს.

განვლილ დრაფტზე უგუნდოდ დარჩენილ „ჯვაროსანს“ კონტრაქტი „დენვერმა“ გაუფორმა. მართალია, აღნიშნული არასრულფასოვანი ხელშეკრულება მხოლოდ ერთ წელზეა გათვლილი მინიმალური სახელფასო ფონდითა და ბონუსების გარეშე, მაგრამ მასში არის სპეციალური პუნქტი, რომლის თანახმადაც რეგულარული ტურნირის დაწყებამდე შესაძლებელია იგი ყოვლისმომცველად გარდაიქმნას.

არის კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი – კლუბს უფლება აქვს ჩვენს თანამემამულეს ნებისმიერ დროს მიუთითოს კარისკენ, მაგრამ, ვიმედოვნებთ, საქმე აქამდე არ მივა.

დავძენთ, რომ, სავარაუდოდ, როგორც დებიუტანტი, გიორგი წლეულს ძირითადად განვითარების ლიგაში გამოვა.

* * *

სიახლეა ლიეტუვის ნაკრების სათავეში და მისი აწ უკვე ყოფილი დამრიგებლის – დარიუს მასკოლიუნასის პოსტიც იაპონური ფორუმის ლიცენზიის გარეშე დარჩენამ შეიწირა.

რაც შეეხება ბალტიისპირელთა ახალ მესაჭეს,

ესაა იტალიური „პარმას“ მოძღვარი **კაზის მაკსვიტისი,** რომელიც პარალელურად სამშობლოშიც იმუშავებს.

ვისურვოთ, რომ მას ორი კურდღლის მადევარივით არ დაემართოს.

* * *

საძართველოს ეროვნული ნაკრებისა და სტამბოლის „ფენერბახჩეს“ ყოფილი თავკაცის იგორ კოკოშკოვის მთავარ მიღწევად სლოვენიის გუნდთან ერთად მოგებული ევროპის ჩემპიონობა ითვლება, თუმცა, მშობლიური სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან მაინც დაითხოვეს.

სავარაუდოდ, ამის ძირითადი მიზეზი ტოკიოს ოლიმპიადის მიღმა დარჩენაა. ახალი სეზონიდან კოკოშკოვი ნბა-ში „დალასის“ შტაბს შეუერთდება.

ნოვატორი ჭალაუბნიდან

– გიგუშ!

– რაო, შაქრი?

– უყურე წუხელ ტელევიზორსა?

– სექსის საყურებლად მცალია, ჯო, გუშინ სართვლოდ ქვევრებსა ვრეცხავდი და დაღლილ-დაქანცულს მთელი ღამე მკვდარივით მეძინა.

– ჰო, შენ ქვევრებს გადაჰყევი და ქვეყანა კიდევ სკანდალმა შეჭამა.

– კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სად იყო სკანდალი?

– სადა და პარლამენტში, ბოკუჩავას და სამადაშვილს ისეთი ცემა-ტყეპა აუტეხიათ, ჭერიდან თურმე სუ ბათქაში ცვიოდა.

– რაო, რა გვინდაო? როგორც მახსოვს, ეგენი ადრე სულ ერთ ხმაზე ყეფავდნენ და ახლა რა ბზიკმა უკბინათ?

– ბზიკმა კი არა, სააკაშვილმა, რომელსაც უკრაინიდან ახალი „უკაზი“ გაუცია.

– რა „უკაზი“?

– არავითარი არჩევნების გადადება, უეჭველად უნდა გაიმართოსო.

– არადა, ნაცები თავად არ მოითხოვდნენ არჩევნების გადადებას?

– მოითხოვდნენ, მაგრამ ხომ გეუბნები, მაგათმა დამთხვეულმა ბელადმა გადაწყვეტილება შეცვალა, რამაც ისედაც დაბნეული ნაცები კიდევ უფრო დაარეტიანა და იმის მაგივრად, რომ ქოცებს ეძალაონ, ერთმანეთსღა ულაწუნებენ.

– თქვენ დამთხვეული სააკაშვილისა გიკვირთ და ჩვენს სამეზობლო ჭალაუბანში რა ხდება, არ იკითხავთ? – ჩაერთო საუბარში განაპირა სკამზე მჯდომი ჟღალწვერა ხვედუშა.

– განა ასეთი რა ხდება? – ყურები ცქვიტეს გიგუშამ და შაქრიამ.

– როგორ თუ რა ხდება, ვიღაც შერეკილს ეზოში ღია ტუალეტი ჩაუდგამს და მთელი სოფელი ყალყზეა შემდგარი.

– ღია ტუალეტი? – გაიკვირვეს მეზობლებმა, – მაგ მუდრეგმა ნუთუ ტუალეტს კარი არ შეაბა?

– კარი არ შეაბა, მაგრამ თავად ტუალეტი იმ სიმაღლეზე ააშენა, რომ ადამიანს მხოლოდ წელქვემოთ ფარავს.

– ეს რატომ გავაკეთეო, არ უთქვამს?

– წელზემოთ დასამალ-დასაფარი არაფერია და ისედაც კოვიდეპიდემიით გატყავებულს ზედმეტი თანხები რატომ უნდა გადამეყარაო?!

– მერე, სოფელმა რა უპასუხა?

– განაჩენი გამოუტანა – ხალხმა თურმე იწუვლა და ნოვატორ მეტუალეტეს ნაგებობა თავზე დაამსხვრია.

– დედა ვაცხონეთ და მამა მაგათი, კარგად მოქცეულან, – მოიწონეს მეზობლებმა.

– თქვენ ეგრე ფიქრობთ და სასამართლომ კი, სადაც დაზარალებულმა იჩივლა, სულ სხვა განაჩენი გამოიტანა.

– მაინც როგორი?

– მოსამართლეს უთქვამს, ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სამართალს უფლება არა აქვს თავისუფალ მოქალაქეს თავისუფალი აზროვნებისა და მოქმედების უფლება წაართვასო, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის ტუალეტის აღდგენა დაუკისრებია.

– თავად დამნაშავე მეტუალეტეს არაფერი უთქვამს?

– როგორ არა, უთქვამს, თუ ეპიდემიამ უკან არ დაიხია, ხალხი უსაჭმელოდ დარჩება და მომავალში ტუალეტი შეიძლება საერთოდ საჭიროც აღარ გახდესო.

– ეგა, ძმაო, მეტუალეტე კი არა, შორსმჭვრეტელი მკვლევარი ყოფილა – ჩაიქირქილეს მოსაუბრეებმა.

– თქვენ იცინეთ და როგორც ვიცი, ამ ნოვაციას უკვე გამოეხმაურნენ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ელჩები და მოიწონეს კიდეც, – პირში ჩალა გამოავლო მეზობლებს ჟღალწვერა ხვედუშამ, – ღია ტუალეტები ევროპაში დიდი ხანია მომრავლდა...

...გამოგიტყდებით, გულუბრყვილო არ გახლავართ. ეს ამბავი სხვას რომ მოეთხრო, შეეძლება არც დამეჯერებინა, მაგრამ მე ხომ ეს ყველაფერი ამას წინათ მშობლიურ სოფელში სტუმრობისას საკუთარი ყურით მოვისმინე.

ოთარ ხუციშვილი

ათიათასობით მიგრანტი აშშ-ის საზღვართან

აშშ-ის მთავრობა ათასობით ჰაიტელ მიგრანტს, რომლებიც მექსიკის საზღვარზე არიან შეკრებილი, სამშობლოში დააბრუნებს. ამის შესახებ ინფორმაციას „ასოშიეტიდ პრესი“ ავრცელებს. სპეციალური რეისების შესრულება დღეიდან დაიწყება და დღეში სულ მცირე რვა რეისი განხორციელდება.

10 ათასი ჰაიტელი მიგრანტი ამჟამად მექსიკისა და აშშ-ის საზღვარზე მდებარე ხიდის ქვეშ იმყოფება. ეს ხიდი ტეხასის ქალაქი დელ რიოს და მექსიკის სიუდად აკუნიას აკავშირებს. დელ რიოს მერმა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი გამოაცხადა. მისი თქმით, საზღვრო სამსახური სათანადოდ ვეღარ ფუნქციონირებს, ხოლო მიგრანტები არაადამიანურ პირობებში იმყოფებიან.

აშშ-ის საბაჟო და სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, დელ რიოში მდებარე საზღვრო გამშვები პუნქტი 17 სექტემბერს დახურეს. ამის მიზეზად მიგრანტების დიდი ნაკადის გამო უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაცია დასახელდა. მედიის ცნობით, ჰაიტელებთან ერთად საზღვარზე ასევე იმყოფებიან კუბელები, პერუელები, ვენესუელელები და ნიკარაგუელები.

ნუგზარ წერეთელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი, დაუვიწყარი მეგობარი, ცნობილი არქიტექტორი, ღირსეული მოქალაქე და პიროვნება

ტარიელ ჩიგოგიძე

და გულისტკივილით უსამძიმრებს მის ოჯახს.

რეზო, ლალი, ზურაბ, ნათელა ტაკიძეები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ სიძე

ქრისტიან ფონ ბორციისკოვსკი

და თანაუგრძნობენ ანი ტაკიძეს და პატარა მარიამს ძვირფასი მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

მეუფე შიო: ველოდებით გამოძიებას!

მედიაში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, **სამებაში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ისაუბრეს სასულიერო პირებმა.** მეუფე შიო აცხადებს, რომ გამოძიების შედეგებს ელოდება.

„საპატრიარქომ გააკეთა ოფიციალური განცხადება. პოზიცია გამოხატულია. ველოდებით გამოძიებას“, – განაცხადა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.

სასულიერო პირები სრულად განკვეთეს

ჟყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე სტეფანემ, 10-მდე სასულიერო პირი სამონაზვნე და სასულიერო დასიდან სრულად განკვეთა, – ამის შესახებ მან წირვის შემდეგ, ქადაგების დროს, მრევლს განუცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული სასულიერო პირები, რომლებიც პეტრე ცაავას მხარდამჭერები არიან, არღვევდნენ საეკლესიო კანონებს, ცდილობდნენ ეკლესიაში შუღლის შეტანას, აქეზებდნენ სხვა პირებს და ეწინააღმდეგებოდნენ პატრიარქს. მეუფის განმარტებით, მათ კელიები დღის ბოლომდე უნდა დატოვონ და საერო ცხოვრებას დაუბრუნდნენ. შესაბამისად, მათ საეკლესიო სამოსის ტარება ეკრძალებათ. რამდენიმე თვის წინ ეპარქიის მიტროპოლიტმა აღნიშნულ სასულიერო პირებს მღვდელმსახურების უფლება შეუჩერა და მოსანანიებლად დრო მისცა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 15 სექტემბრის №175-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ნუ დავივიწყებთ ლენტეხს საოცარს“, სადაც იმ დროის გამოჩენილ ლენტეხელ მოღვაწეთა შორის გამორჩენილი იქნა ღირსეული მამულიშვილი, ამიერკავკასიის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რკინიგზის დეპარტამენტის მთავარი პროკურორი თეიმურაზ (თემურ) ონიანი.

ვაქცინაცია იმუნიტეტს არ ასუსტებს!

(მეშვიდე გვერდიდან)

– უცხოელი სპეციალისტები პროგნოზირებენ, რომ ოქტომბრიდან საქართველოში კოვიდით ათ ადამიანზე ნაკლები დაიღუპება. ეს ნიშნავს, რომ უკვე გადავლილია პიკი?

– კლება უკვე დაწყებულია და მონაცემები კიდევ უფრო დაიკლებს. ეს ტალღური მიმდინარეობაა, ადის პიკზე, მერე დაეშვება დაბლა. ყველაფერს აქვს თავისი პიკი, მეცნიერებაშიც ასეა, ექსპერიმენტებს როცა ვატარებთ, ადის პიკზე, მერე ჩამოდის. წესით, სექტემბრის ბოლოს უნდა ჩამოვიდეს დაბლა ეს მონაცემები, მაგრამ ცუდია ის, რომ დღესდღეობით გვყავს 400-მდე პაციენტი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე, ეს რთული შესანარჩუნებელია, მთავარია, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ახალი ავადმყოფები არ ჩაირთოს. თორემ ამ პაციენტთა ნახევარზე მეტი უმძიმეს მდგომარეობაშია და რთული გამოსაყვანი იქნება.

– რაც შეეხება ე.წ. მეხუთე ტალღას, მეცნიერებს შორის აზრი იყოფა, ერთნი ფიქრობენ, შეიძლება მეხუთე ტალღა არც იყოს, მეორენი ასკვნიან, რომ ისე საშიში აღარ იქნება და მძიმე სტადიები უკვე ჩავლილია.

– ტალღებს ვინ როგორ ითვლის, მე არ ვიცი. ახლა რომელი ტალღაა, დაზუსტებით ესეც არ ვიცით, ვინ დათვალა? პიკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მესამე ტალღაა. ამიტომ ყველა უნდა აიცრას, რომ რბილად გადავიტანოთ შემდგომი ტალღები. ამიტომ ვთქვი, რომ დღეში გვჭირდება 40 ათასი აცრილი.

– ხშირად ჩნდება კითხვა, ქვეითდება თუ არა იმუნიტეტი აცრიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში? და, თუ ქვეითდება, ეს ნიშნავს, რომ ახლად აცრილი ადამიანი კორონას გამავრცელებელი შეიძლება იყოს?

– ეს არის ანტისხეულების გამომუშავება იმ ანტიგენებზე, რომლებიც ორგანიზმში უნდა იყოს მებრძოლ უჯრედებად. ამიტომ აცრილი ადამიანი გადამტანი არ არის. თუ დაავადდება, ეს სხვა საკითხია. რაც შეეხება მითს, თითქოს აცრის შემდეგ იმუნიტეტი ქვეითდება, იმუნიტეტი ისედაც დაქვეითებული გვაქვს ამ ვითარებაში, როცა ადამიანს სრულყოფილი საჭმელი და სასმელი არ აქვს. ცილის და ხორცის გარეშე ყველას დაქვეითებული აქვს იმუნიტეტი. არადა, იმუნური სისტემა ამით იკვებება.

– ხომ არ აჯობებდა, პირველ რიგში, იმუნიტეტისთვის მიეხედათ, მით უმეტეს, ვაქცინაციამ ბევრი დააფრთხო?

– აბა, რა გითხრათ, ეს შორს წაგვიყვანს, რთული ვითარებაა. ვაქცინაცია იმუნიტეტს არ ასუსტებს, ვაქცინაცია გარკვეული მიმართულებისაა და, თუ ორგანიზმს რაიმე დაავადება აქვს, ეს სულ სხვა რამის ბრალია და ვაქცინაციას არ უნდა დავაბრალოთ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძე საერთაშორისო ტურნირების „მაია ჩიბურდანიძის თასი 2021“ და „ნონა გაფრინდაშვილის თასი 2021“ დახურვის ცერემონიას დაესწრნენ.

ღონისძიება თბილისის ჭადრაკის სასახლის ეზოში, პანდემიის მიზეზით დაწესებული რეგულაციების სრული დაცვით გაიმართა. ცერემონიას ესწრებოდნენ თავად ლეგენდარული მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი ზაზა ლომინაძე, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, კომიტეტის წარმომადგენლები და საჭადრაკო ტურნირების მონაწილეები.

მინისტრმა თეა წულუკიანმა ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს საიუბილეო წელი მიულოცა – ნონა გაფრინდაშვილს წელს, 3 მაისს 80 წელი, ხოლო მაია ჩიბურდანიძეს 17 იანვარს 60 წელი შეუსრულდათ. მინისტრმა აღნიშნა, რომ ჭადრაკის დედოფლების იუბილეების აღსანიშნავად სამინისტრო საზეიმო ღონისძიებას გეგმავდა, თუმცა პანდემიის გამო ამაზე დროებით უარის თქმა მოუწია. თეა წულუკიანმა იმედი გამოთქვა, რომ პანდემია მალე გაივლის და სამინისტროს მიეცემა საშუალება მაია ჩიბურდანიძისა და ნონა გაფრინდაშვილის იუბილე ისე აღნიშნოს, როგორც ეს ამ ქალბატონებს ეკადრებათ.

ასპარეზობა ორივე თასის გათამაშებისას ქალთა და ვაჟთა შორის მიმდინარეობდა. თითოეული ტურნირის საპრიზო ფონდი 32 650 ლარს შეადგენდა, ასევე საპრიზო ფონდი იყო დაწესებული 18 600 ლარის ოდენობით 10 საუკეთესო მოჭადრაკისთვის.

ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებებში საქართველოს ნაკრების წევრები და მიწვეული უცხოელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. ტურნირის მონაწილეთა შორის ასევე იყვნენ: მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული, საჭადრაკო ოლიმპიადის მრავალგზის პრიზიორი ნანა ძაგნიძე, რომელიც დღევანდელი ტურნირების გამარჯვებულიცაა, მსოფლიოს 2015 წლის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულები და საჭადრაკო ოლიმპიადის არაერთგზის პრიზიორები, ბელა ხოტენაშვილი და მერი არაბიძე, საფრანგეთის და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წევრები.

ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან შოთა რეხვიაშვილთან და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერთან რამაზ ბუდაღაშვილთან ერთად სოფელ მარტყოფში სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის სრულად განახლებული შენობა გახსნა.

მინისტრმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სკოლის ახალი შენობა დაათვალიერეს. საზეიმო გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გიორგი შინჯიკაშვილი და საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი. საზეიმო ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ანსამბლი „ბეთანია“, ადგილობრივი ანსამბლი „აკრიანე“ და თბილისის სიმფონიური ორკესტრი.

მარტყოფის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლა 1969 წელს კომპოზიტორების, სულხან ცინცაძისა და ოთარ თაქთაქიშვილის თაოსნობით დაარსდა. სამუსიკო სკოლის შენობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სკოლის აღდგენა 2019 წელს დაიწყო და დასრულდა 2020 წელს, თუმცა პანდემიის ფონზე ამ დრომდე ვერ მოხერხდა სკოლის ოფიციალურად გახსნა. მოცემული პროექტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 276 626 ლარით დაფინანსდა.

ᲡᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲟᲘᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲡᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡ კინოფესტივალი გაიხსნა. ჟიურის თავმჯდომარე ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილია.

კინოფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ა-კლასის საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელიც 1953 წლიდან იმართება და ყოველწლიურად, საავტორო კინოს 200-250 ნამუშევარს სთავაზობს ფესტივალის სტუმრებს. წელს ის 17-25 სექტემბერს იმართება.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲡ ᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲡ

ᲡᲐᲢᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ფოტოებით დგინდება, რომ, ჩრდილოეთ კორეაში იონბიონის ბირთვული ობიექტი ფართოვდება. მედიის ცნობით, ქვეყანა შეძლებს, 25 პროცენტით გაზარდოს ე. წ. „იარაღისპლუტონიუმის“ წარმოება, რომელიც ფართოდ გამოიყენება ბირთვული იარაღის შესაქმნელად.

მონტერეის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის ანგარიშის თანახმად, ფოტოები სატელიტური გამოსახულების კომპანია Maxar-ის მიერაა გადაღებული და მათზე ჩანს, რომ ქარხნის მიმდებარედ მშენებლობა მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინ ჩრდილოეთ კორეამ შორი მოქმედების ახალი ფრთოსანი რაკეტა გამოსცადა.

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘᲪ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ

ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ მოძრაობა „თალიბანი“, რომელიც ავღანეთის მთელ ტერიტორიას აკონტროლებს, აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში გოგოები სკოლებში დაბრუნდებიან და სწავლის განახლებას შეძლებენ. ამის შესახებ დროებით მთავრობაში კულტურისა და ინფორმაციის მინისტრის მოადგილემ ზაბიჰულა მუჯაჰიდმა განაცხადა.

„ჩვენი ხელისუფლება ამჟამად მუშაობს იმაზე, როგორ გაიყოს კლასები და გადანაწილდეს მასწავლებლები გოგოებისთვის განკუთვნილ სკოლებში“, – აცხადებს „თალიბანის“ წარმომადგენელი. 17 სექტემბერს ავღანეთის განათლების სამინისტროში განაცხადეს, რომ 1-6 კლასებში სწავლა 18 სექტემბრიდან განახლდება, თუმცა სასწავლო პროცესში ამ ეტაპზე მხოლოდ ბიჭი მოსწავლეები და კაცი პედაგოგები ჩაერთვებიან. ქვეყნის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესი გოგოებისა და ბიჭებისთვის განცალკევებულად დაიწყო.

ᲛᲔᲡᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ

„პარი სენ-ჟერმენის“ არგენტინელი ფეხბურთელი ლიონელ მესი პარიზში საცხოვრებლად 48 მილიონ ევროდ შეფასებული „ვარდისფერი სასახლის“ ქირაობას გეგმავს.

1899 წელს აშენებული სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის ფართობი 2000 კვადრატული მეტრია. სახლში 30 ოთახი, საცურაო აუზი, სახლის კინოთეატრი და სპორტდარბაზია. ამასთანავე, სასახლე პსჟ-ის საწვრთნელი ბაზიდან 15 წუთის სავალზეა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ – ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 22 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1112; ᲔᲕᲠᲝ - 3.6653;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2910;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.2817; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3615;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8283;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3645.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+31
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+28

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+29
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+11,	ᲓᲦᲔ	+27
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+17,	ᲓᲦᲔ	+30

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge